ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 4 ივლისი, 2013 №156 (6157) ფასი: 30 თეთრი

3 ივლისიდან!
„ახალი თაობა"
+
მაკიაველი
8 ლარი




# ბიძინა ივანიშვილი: „ოპოზიციის ადგილი ცარიელი არ დარჩება"



გვ.3

როდის წავა პრემიერი პოლიტიკიდან

## ზაზა დავითაია: „სააკაშვილის რეჟიმი მსოფლიომ უნდა გაასამართლოს"

გვ.4



რატომ უნდა უპატრონის ხელისუფლებამ ყოფილ პატიმრებს



## ჯონდი ბაღათურია: „პრემიერ-მინისტრმა ხალხის იმედი ვერ გაამართლა"

გვ.2



გვ.5

## მიხეილ სააკაშვილი: „მინდა, გავაფრთხილო პრემიერ-მინისტრი — ხელები შორს „რუსთავი 2"-სგან"



## სააკაშვილი არჩევნებამდე ახალ პროვოკაციებს მოაწყობს

გვ.6

## ნინო ბურჯანაძე: „მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს"

გვ.5



## მიხეილ მაჭავარიანი: „ბიუჯეტი ვერ სრულდება"

გვ.4






## მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას...

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006

6 ცესკო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სრულ მზადყოფნაშია

7 ნეპოტიზმი და ადმინისტრაციული კრიზისი ქუთაისში

6 საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები 27 ოქტომბერს გაიმართება

7 რა პრობლემები აქვთ სტუდენტებს

# ჯონდი ბაღათურია: „პრემიერ-მინისტრმა ხალხის იმედი ვერ გაამართლა“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ქართული დასის ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

***— ბატონო ჯონდი, საზოგადოებაში ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა, როდესაც პრემიერ-მინისტრმა პირველად გააკეთა წასვლის შესახებ განცხადება. დღეს მან ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა და პრესკონფერენციაზე ეს კითხვაც დაისვა. როგორ ფიქრობთ, გასცა ივანიშვილმა ამ კითხვას პასუხი და თქვენ დაგრჩათ თუ არა კითხვის ნიშნები ამასთან დაკავშირებით?***

— არა, პრემიერ-მინისტრმა ვერ გასცა ამ კითხვას პასუხი და ჩემი აზრით, ასეთი განცხადება არის სრულიად უპასუხისმგებლო და აქვე უნდა დავძინო, რომ პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების არცოდნიდან გამომდინარე. როცა პრემიერ-მინისტრი, სულ რამდენიმე თვის მოსული აკეთებს განცხადებას, რომ 7 თვის მერე ის გადადგება, ეს მინიმუმ ქვეყანაში იწვევს ეკონომიკურ კრიზისს, ესეც ყველაზე უკეთეს შემთხვევაში. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ამ 7 თვის განმავლობაში არც ერთი ახალი ფაბრიკა-ქარხანა, არცერთი ახალი სამუშაო ადგილი ქვეყანაში აღარ შეიქმნება. იმიტომ, რომ ბიზნესი, რომელიც ისედაც დაშინებულია სააკაშვილის რეჟიმისგან, არის ძალიან ფრთხილი და ელოდება მას შემდეგ რაც შემოდგომაზე პრემიერ-მინისტრი გადადგება, რბილად რომ ვთქვათ, არასტაბილურ გარემოს და აქედან გამომდინარე, ისინი არც ერთ თეთრს აღარ ჩადებენ საქართველოს ეკონომიკაში. არც აქაური, ადგილობრივი ბიზნესმენები და უცხოელებზე საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ ნებსით თუ უნებლიეთ პრემიერ-მინისტრმა ამით ძალიან ცუდი საქმე გაუკეთა ქვეყნის ეკონომიკას და იმედი მაქვს, რომ უნებლიეთ.

***— ბატონო ჯონდი, მან გარკვევით თქვა, რომ ის არსად წასვლას არ აპირებს და შესწევს იმის ძალა და უნარი, რომ კიდევ ოცი წელი უპატრონოს ჩვენს ქვეყანას... ეს გაუგებარი განცხადებაა?***

— პრემიერ-მინისტრმა უმჯობესია სანამ განცხადებებს გააკეთებს, მანამ გააკეთოს ანალიზი და მანამ დაფიქრდეს, რადგან ეს ძალიან არათანმიმდევრულია. ხან იძახის რომ გადავდგები, ხან არ გადავდგები... ეს არის მაჩვენებელი არასტაბილურობის, არათანმიმდევრულობის და ეს პირდაპირ აირეკლება ქვეყნის ეკონომიკაზე, სოციალურ ყოფაზე, პენსიოერის, ექიმის, პედაგოგის თუ სტუდენტის მდგომარეობაზე. ეს აისახება განათლების წარუმატებელ რეფორმაზე, სასამართლოს ცავარდნილ რეფორმაზე, არშემდგარ სოციალურ რეფორმაზე და ასე შემდეგ. ამიტომ ეს არის, ჩემი აზრით, განცხადებები, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას. პრემიერ-მინისტრი მე არ ვფიქრობ, რომ ამას შეგნებულად აკეთებს. მე ვფიქრობ, რომ მას უნდა ქვეყნის განვითარება, მაგრამ ერთგვარი გამოუცდელობა პოლიტიკაში და მისი გარემოცვა, რომელიც ძირითადად შედგება მლიქვნელობაში გაწაფული ადამიანებისაგან, უზრუნველყოფენ მის ასეთ დეზინფორმირებას. ანუ გაუცნობიერებლობას, როგორი გარემოა, როგორი მდგომარეობაა ქვეყანაში და შესაბამისად, რადგანაც არ გაქვს ინფორმაცია, სად იმყოფები, როგორი ვითარებაა, შესაბამისად განცხადებებიც იქნება არაადეკვატური.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, არის წამსვლელი? მან განაცხადა, რომ თუ დამარწმუნებენ, რომ საჭირო ვარ, დავრჩებიო...***

— მე გულთმისანი ხომ არა ვარ? ვუსმენ, ვიცი, რომ ამ კაცს არ ახასიათებს ტყუილი და ხან ამბობს, ვრჩები, ხან ამბობს, მივდივარო... დღეს ერთიც თქვა და მეორეც. შეკითხვაზე პასუხისას ჯერ თქვა, არ წავალო და მერე ისევ დააყოლა, უნდა წავიდეო. აბა, რა გითხრათ, ეს მან უნდა დააზუსტოს, თუმცა არ არის სავალდებულო, რომ ყველა მისი გეგმა საჯაროდ იყოს ცნობილი. იმიტომ, რომ ის ყოველთვის გამოიწვევს საზოგადოების ასეთ აფორიაქებას, იმიტომ, რომ ის პრემიერ-მინისტრია, ქვეყნის პირველი პირია, ამიტომ წონადობა რადგან აქვს, შესაბამისად მის შეცდომასაც წონა აქვს და სწორად გადადგმულ ნაბიჯსაც. შეცდომების კასკადი რომ აქვს, შესაბამისად შედეგებიც ასეთია. შეიძლება ეს წონიანი შეცდომები 7 მილიარდის პატრონის სოციალურ ყოფაზე არ აისახება, მაგრამ ხალხის ყოფაზე აისახება. ფასები იზრდება, ადამიანები კარგავენ საცხოვრებელ ადგილებს, კარგავენ სამუშაო ადგილებს და არიან საკმაოდ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლოა სერიოზული პოლიტიკური რყევები გამოიწვიოს მისმა წასვლამ?***



— რა შესაძლოა, პოლიტიკური რყევები უკვე დაწყებულია. ჩვენ სახეზე გვაქვს წინა პერიოდი არასტაბილური პოლიტიკური ვითარებისა. 7 თვის მოსული პრემიერ-მინისტრი და გახსოვთ, რა ფონზე მოსული პრემიერი, ამბობს, რომ მიდის პოლიტიკიდან... და ვის ტოვებს? პარლამენტში 65 მანდატით არის წარმოდგენილი ნაციონალური მოძრაობა, ეს კრიმინალური ბანდა და დანარჩენი უმრავლესობით არის წარმოდგენილი უსუფაშვილი და ხიდაშელი. ლეგიტიმაცია არც ნაციონალების ბანდას აქვს და არც ხიდაშელი და უსუფაშვილი არ აურჩევია ხალხს. თქვენ ხომ გესმით, ეს რასაც ნიშნავს, ივანიშვილის წასვლას ავტომატურად მოჰყვება არალეგიტიმურობა პარლამენტის, შესაბამისად რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური და ასევე ძალიან ლოგიკური და სამართლებრივი მოთხოვნაც საზოგადოების მხრიდან. წარმოიდგინეთ, ახლა მდგომარეობა, პრემიერ-მინისტრი არა გვყავს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩაატარო, ან თუ არ ატარებ, კიდევ უარესი, ხალხი ქუჩაში გამოვა და ვინ უნდა მართოს ქვეყანა ხიდაშელმა და უსუფაშვილმა?! ქვეყანა – ეს ნინიას ბაღი არ არის, გენაცვალე, მოვედი, არ მომეწონა და წავედი. რა „პრახადნოი დვორია“? მოხვედი? კეთილი უნდა ინებო და იმუშაო! უნდა გააკეთო მაქსიმუმი, რაც შეგიძლია. არ არსებობს ადამიანი, რომელმაც აბსოლუტურად ყველაფერი იცის, რაღაცა არ იცი, მაგრამ ეს სირცხვილი არ არის, მით უმეტეს, ახალი მოსულია პოლიტიკაში, მაგრამ ნიჭიერი კაცია, ცოტა სხვასაც დაელაპარაკოს, ვისაც რაღაცა გაეგება და პოლიტიკაში საქმე გაუკეთებია. მიუხედავად იმისა, რომ მან ვერ გაამართლა საზოგადოების დიდი ნაწილის იმედიები და მათ შორის ჩემი მოლოდინებიც ვერ გაამართლა, არ ვართ მის მიმართ ჩასაფრებულ მდგომარეობაში და მის წინააღმდეგ განწყობილები. ჩვენ მზად ვართ, რომ ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება გავუზიაროთ და ჩვენს ქვეყანას მოვახმაროთ და თუ ის ასე კარჩაკეტილი იქნება და მარტო მლიქვნელობაში გაწაფულ გარეწრებს მოუსმენს, რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა იქნება. რაც რბილად რომ ვთქვათ, მას აყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

***— რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს და თქვენ მიერ დასახელებულ კანდიდატს, ბიძინა ივანიშვილმა ამ საკითხზეც გააკეთა კომენტარი...***

— პირველ რიგში, მინდა გამოვეხმაურო სრულიად არაკორექტულ განცხადებას პაატა ბურჭულაძესთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრის მხრიდან, მან თქვა, რომ ღირსეული კონკურენტი ვერ იქნება. ეს არის ძალიან არაკორექტული განცხადება და მეორეც, მისი თავდაჯერულობა და ასე მაღალი თვითშეფასება, ეს აშკარად ადასტურებს იმას, რომ პრემიერ-მინისტრი არის ინფორმაციულ იზოლაციაში და ძირითადად ინფორმაციას იღებს იმ მლიქვნელებისაგან, რომლებიც ამ საქმეში გაწაფულები არიან და ეუბნებიან იმას, რისი მოსმენაც პრემიერს სურს. ამიტომ უმჯობესი იქნება, პრემიერ-მინისტრმა რაღაცა ფორმა გამოძებნოს და მეტი ურთიერთობა იქონიოს პირდაპირ ხალხთან. ის ხალხი მიიღებს ძალიან ბევრ ინფორმაციას, მართალია იგრძნობს იმ იმედგაცრუებასთან, რომელიც ხალხშია, მაგრამ რაც მთავარია, ის მიიღებს მართალ ინფორმაციას ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ასევე ჩვენთან უნდა იქონიოს ურთიერთობა, ყოველდღიურ რეჟიმში არა, მაგრამ თვეში ერთხელ ჩვენთან შეხვედრით ძალიან ბევრ კარგ რამეს წაიღებს, გამოცდილებას წაიღებს და ძალიან ბევრ ინფორმაციას მიიღებს მთლიანად ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. მე ასევე ვურჩევ პრემიერს, რომ სათანადოთ შეაფასოს ყოველთვის მოწინააღმდეგეები და პატივისცემით მოეპყრას მოწინააღმდეგეს და კორექტული იყოს. ასეთი განცხადებები, მოწინააღმდეგის იგნორირება და მისი არაღირსეულ კანდიდატად შეფასება, მხოლოდ და მხოლოდ მის იმიჯს დააზიანებს. მისი ასეთი გამონათქვამები არის უპატივცემულობა არა მარტო მოწინააღმდეგის მიმართ, არამედ საზოგადოების მიმართაც და ეს არის ასევე სისუსტის მაჩვენებელი. ეს არის შიშის მაჩვენებელი, კონკურენციის შიშის მაჩვენებელი და თანაბარ გარემოში ოპონირების შიშის მაჩვენებელი. როცა არათანაბარი პოლიტიკური გარემო ჰქონდა სააკაშვილს შექმნილი, ვნახეთ, ქვეყანა რა მდგომარეობამდეც მიიყვანა და საკუთარი მომავალი რა მდგომარეობამდეც მიიყვანა.

***— ბატონო ჯონდი, იქნებ გაგვიმხილოთ, ბოლოს და ბოლოს, დაითანხმეთ თუ არა პაატა ბურჭულაძე, ის კვლავ დუმილს ამჯობინებს და არც უარი უთქვამს და არც თანხმობა განუცხადებია...***

— ოფიციალური გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება 9 ივლისის შემდგომ. 9 ივლისამდე, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ აუცილებელია დაცდა, ვერ გავაკეთებ ვერანაირ კომენტარს, მე ვარ ოპტიმისტურად განწყობილი პაატა ბურჭულაძის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

***— შესაძლებელია, რომ უარყოფითი პასუხიც მიიღოთ, ხომ?***

— მე არ ველოდები უარყოფით პასუხს. მე ვარ ოპტიმისტურად განწყობილი, რომ პასუხი იქნება დადებითი. პაატა ბურჭულაძეს კარგად ვიცნობ, მის ვაჟკაცურ და პატრიოტულ ბუნებას ვიცნობ და ვხედავ, რომ ის კარგად აცნობიერებს შექმნილ მდგომარეობას და ის კარგად აცნობიერებს ასევე მის მნიშვნელობას, ახლა ამ მოცემულობაში. მოცემულობა კი ასეთია, თუ პაატა ბურჭულაძე არ მიიღებს მონაწილეობას, ისე 90%-ით არჩეული პრეზიდენტი გვეყოლება და წავალთ უკვე მესამე წრეზე, რაც გვქონდა შევარდნაძის დროს დაუბალანსებელი ხელისუფლება, სააკაშვილის დროს და ახლა იგივე იქნება ქართული ოცნების შემთხვევაში. ისევ ქვების სროლა, აქციები ქუჩაში და ისევ გამიშვი და დამაკავე და ასე შემდეგ. ეს კი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას. ჩვენ გვინდა შევქმნათ პოლიტიკაში ბალანსი, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის, შევქმნათ მაქსიმალურად დაძაბული კონკურენცია, რათა ყველანი ჩვენ, პოლიტიკური ლიდერები, იძულებულები გავხდეთ, საზოგადოებას შევთავაზოთ უკეთესი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა პროექტები.

***— ბატონო ჯონდი, ალბათ, თქვენც გექნებათ მოსმენილი, სხვადასხვა სახის შეფასებები მიდის. ითქვა ისიც, რომ ჯონდი ბაღათურია და კახა კუკავა ხმების გაყოფაზე მუშაობენ და ამიტომ წამოაყენეს პაატა ბურჭულაძის კანდიდატურაო. თქვენ რას უპასუხებდით ამ განცხადებებზე?***

— ეს არასერიოზული შეფასება და არასერიოზული განცხადებებია. ვინ თქვა ასეთი სისულელე, არ ვიცი. ან კახა კუკავა რა შუაშია, აქ საერთოდ ვერ გავიგე. პირადად მე შევთავაზე პაატა ბურჭულაძეს, გახდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი და შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი. პაატა ბურჭულაძეს დაასახელებს ხალხი. ეს საუბარი პირად მხოლოდ მე მქონდა პაატა ბურჭულაძესთან, ეს ძალიან კონფიდენციალური შეხვედრა იყო, არც ერთი პარტიის ლიდერი ამ შეხვედრის შესახებ ინფორმირებული არ იყო. ეს შეხვედრა ძალიან ეფექტური გამოდგა, როგორც ჩანს, ეს პრემიერისთვისაც ძალიან მოულოდნელი იყო და მისმა მოულოდნელობამ და დაბნეულობამ შესაბამისი შედეგებიც გამოიღო. დღეს ჩემს გარდა, არაპოლიტიკური სფეროდან ძალიან ბევრი მეცნიერი თუ საზოგადო მოღვაწე არწმუნებს პაატა ბურჭულაძეს ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობაში და მე იმედი მაქვს, რომ ის მიიღებს ამ გადაწყვეტილებას.

***— რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების ვადას, ვნახეთ, რომ დღეებს ეკიდება სააკაშვილი...***

— კი ნამდვილად დღეებს ეკიდება სააკაშვილი, თუმცა ჩვენთვის ეს სასარგებლოა, ღიად უნდა ვთქვათ, იმის გამო, რომ ზაფხულში მიგრაციაა, ხალხი გადის ქალაქიდან და ნაკლებად ეფექტურია ის რუტინული სამუშაო, რომელიც პოლიტიკურმა პარტიებმა წინასაარჩევნოდ უნდა ჩაატარონ და სექტემბერში და ოქტომბერში ჩვენ გვექნება საშუალება, უფრო ნაყოფიერად ვიმუშაოთ და ჩავატაროთ წინასაარჩევნო კამპანია. სააკაშვილი კი დღეებს გამოეკიდა, მაგრამ ამან სასარგებლო შედეგი გამოიღო ჩვენთვის.

# ნაციონალური მოძრაობა ეუთოს რეზოლუციას ეხმაურება

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სესიაზე რეზოლუციაში შეტანილ შესწორებას ეხმაურება.

როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დღეს სტამბულში მიმდინარე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულმა სესიამ ერთხმად დაამტკიცა შვედი დეპუტატის კრისტიან ჰოლმის მიერ შეთავაზებული შესწორება რეზოლუციაში „ჰელსინკი 40+“ საქართველოში შერჩევითი სამართლის გამოყენებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ივანე მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში აყვანის გამო შეშფოთების შესახებ.

როგორც პარტიაში აცხადებენ, შესწორება რეზოლუციის სწორედ იმ ნაწილში შევიდა, სადაც საუბარია პოლიტიკური პატიმრების არსებობის დაუშვებლობის, პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორებისა და შერჩევითი სამართლის მიუღებლობის შესახებ (მუხლი 108).

„მნიშვნელოვანია, რომ შესწორების წინააღმდეგ პლენარულ სხდომაზე არავინ წასულა, მათ შორის, არც საქართველოს დელეგაციის წევრი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ შესწორებას მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, რომელიც ასამბლეაზე წარმოდგენილია როგორც კონგრესმენებით, ასევე სენატორებით“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ მიღებული რეზოლუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთაშორისო თანამეგობრობის სულ უფრო მკაფიოდ გამოხატულ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ შერჩევითი სამართლის საქართველოს მთავრობის მიერ ყოველდღიური ცხოვრების წესად დამკვიდრება ზიანს აყენებს საქართველოს“, – განაცხადა პარლამენტის წევრმა გიორგი კანდელაკმა და დასძინა, რომ იმ ფონზე, როცა ყოველდღე ყველა ოფიციალური მონაცემით იზრდება უმუშევრობა და მოქალაქეები რჩებიან შემოსავლის გარეშე, იმ ქვეყნის იმიჯის დამკვიდრება, სადაც იდევნება ოპოზიცია აფრთხობს ინვესტორებს და კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც მძიმე ეკონომიკურ სურათს.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „ოპოზიციის ადგილი ცარიელი არ დარჩება“

## როდის წავა პრემიერი პოლიტიკიდან

ნათია ხურცილავა

**პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მორიგი შეხვედრა გამართა ჟურნალისტებთან და მათ კითხვებს უპასუხა.**

ივანიშვილმა ყველა აქტუალურ კითხვას გასცა პასუხი, თუმცა პრემიერმა პრესას მოუწოდა, რომ მისი გადაწყვეტილება, არჩევნების შემდეგ დატოვოს პოსტი და სამოქალაქო სექტორში გადავიდეს, აქტუალური არ არის, რადგან ჯერ ეს დრო არ მოახლოვებულა. შესაბამისად, ფიქრობს თუ არა ივანიშვილი მის შემცვლელზე და ვინ შეიძლება მომავალი პრემიერი იყოს? ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების თარიღს, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მისი დანიშვნით და შემდეგ იმპულსურად შეცვლით სააკაშვილმა შეურაცხყოფა ქვეყანას და საკუთარ პიროვნებას მიაყენა.

— ოპოზიციის ადგილი ცარიელი არ დარჩება, როგორც კი ისინი ოპონირებას ვერ შეძლებენ, აუცილებლად გაჩნდება სხვა ძალა. ჩვენ შიგნით გვაქვს ეს პოტენციალი კოალიციაში. ერთი გუნდიც რომ არსებობდეს და ცალ-ცალკე პარტიებად არ იყვნენ ჩამოყალიბებული, როგორც კი გარედან წინააღმდეგობა არ იქნება, შიგნიდან მოხდება დაშლა და ჩაშლა. მე არ მინდა, ზედმეტი აზრი გამოვთქვა, რადგან ისინი პირდაპირ მუქარად აღიქვამენ. შემიძლია, ჩემი აზრი ვთქვა მხოლოდ. ასეთი ქცევებით მათი პერსპექტივა სულ უფრო და უფრო მცირდება. მათი ლიდერი ამჟღავნებს, რომ საზოგადოებას პატივს არ სცემს. — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილი აცხადებს, რომ არჩევნების თარიღის დანიშვნასთან დაკავშირებით ეჭვები არსებობს.

— ქვეყანას არაფრად არ აგდებს, ხუთშაბათს დანიშნა არჩევნები. არ მინდა, იურიდიულად ჩავეძიო, მაგრამ აქ ეჭვებია ძალიან ბევრი. მას მხოლოდ ის აინტერესებს, რომ გაიხანგრძლივოს საპრეზიდენტო ვადა. გარდა ამისა, შეიძლება, კაცმა ამ ერთ ქცევაში გამოავლინოს დამოკიდებულება ქვეყნისადმი, პატივისცემა — მოვლენებისადმი, დამოკიდებულება — სირთულეებისადმი. საპარლამენტო არჩევნების დროს მან მოახერხა, უარი ეთქვა ემიგრანტებისათვის არჩევნებში მონაწილეობაზე. ჩვენ მილიონ 200 ათასი ემიგრანტი გვყავს გარეთ. ისინი ვერ მოახერხებენ არჩევნებში მონაწილეობას. ეს კაცი არაფერს არ უყურებს და გარდა პირადულისა, არაფერს უწევს ანგარიშს. ამ ქცევით გუნდსაც აზიანებს და საკუთარ პიროვნებასაც. ამ გადაწყვეტილებაში მთლიანად შეიძლება მისი სახის დანახვა. ახლაც იტყვიან, ალბათ, როგორ ვებრძვი „ნაციონალურ მოძრაობას“, თავად უდგანან საკუთარ თავს ოპონირებაში. რატომ აირჩია ხუთშაბათი და ბოლო დღე? იმიტომ, რომ ის საკუთარი ვადის გახანგრძლივებას ცდილობს. აი, აქ არის პრობლემა, თავად არ უწევენ საზოგადოებას ანგარიშს. — განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა ასევე ისაუბრა პაატა ბურჭულაძის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების შემთხვევაზეც. კითხვაზე, შეიძლება თუ არა ბურჭულაძემ მარგველაშვილს ხმები წაართვას?

ამ კითხვას ივანიშვილი ასე პასუხობს:

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ნებისმიერმა კანდიდატმა, შესაძლოა, ჩვენს კანდიდატს ხმები წაართვას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამაზე რაიმე რეაქციები უნდა გვქონდეს. ნებისმიერი ადამიანის გადასაწყვეტია, უნდა თუ არა მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესში. თუ გადაწყვეტს ბატონი პაატა ამას, ძალიან კარგია. მე ვფიქრობ, რომ მარგველაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, გაცილებით მისაღებია. ვინც მარგველაშვილს იცნობს, იტყვის, რომ ის მისაღებია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ სხვა ნებისმიერი ქვეყნისთვის. მე ვფიქრობ, რომ ვერც პაატა გაუწევს მას კონკურენციას, თუმცა ეს საზოგადოების გადასაწყვეტია და ყველა პიროვნება წყვეტს თავის სურვილებს. მე ვფიქრობ, რომ კოალიციამ ძალიან კარგი კანდიდატი დაასახელა და იმის გათვალისწინებით, რომ ვიცნობთ ჩვენს საზოგადოებას, მე ვფიქრობ, რომ საზოგადოება მას პირველივე ტურში აირჩევს. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ გამორიცხულია, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი შეიცვალოს.

— დღესაც არ ვთვლი, რომ ჩემი მოწოდებაა პოლიტიკა. მოვედი იმიტომ, რომ ქვეყანას დასჭირდა და ხშირად პოლიტიკურ განცხადებებსაც დიდ ანგარიშს არ ვუწევ. ამ შემთხვევაშიც მე ხაზს ვუსვამ, რომ ეს არ არის პოლიტიკური განცხადება. ვერც კი წარმომიდგენია კანდიდატი, რომელიც მარგველაშვილს კონკურენციას გაუწევს. არ არსებობს მიზეზი, რომ მარგველაშვილზე უარი ვთქვა. მას გადაჭარბებით აქვს ყველა თვისება, რაც კარგ პრეზიდენტს სჭირდება. — აღნიშნა პრემიერმა.

რაც შეეხება პრემიერის გადაჭარბებულ უფლებებს, ამაზეც ისაუბრა ივანიშვილმა.

— ჩვენ პარლამენტში შეგვაქვს ეს საკითხი და ამას უახლოეს დროში დავარეგულირებთ და დავაბალანსებთ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ეს კაცი პრემიერის პოსტს თავისთვის იმზადებდა. მე ვფიქრობ, რომ ინსტიტუტების განვითარებაა მთავარი და არა პიროვნებების. არც ერთ შემთხვევაში, პოლიტიკიდან წასული, მე არ ვიქნები მმართველი გუნდის ორგანიზატორი და გარედან არაფორმალურ მართვას არ ვაპირებ. როგორც საზოგადოების აქტიური წევრი, მოხერხდება კონტროლიც და შენიშვნების მიღებაც. არაფორმალური ლიდერობისგან ღმერთმა დაგვიფაროს. თუ მე პოლიტიკიდან წავალ, აუცილებლად წავალ პოლიტიკიდან. მე ვხმარობ სიტყვა გადასვლას და არა წასვლას. მე გამოვიყენებ მენეჯმენტში ჩემს გამოცდილებას. კონტროლის პალატა გახდება დამოუკიდებელეი და მას აუცილებლად მიეცემა ის ფუნქცია, რაც უნდა ჰქონდეს. მე ბოლო მომენტში მოვახერხებ ამას კონსტიტუციით. როგორც შემიძლია, რჩევებს მივცემ, რომ ეს ინსტიტუტი გახდეს დამოუკიდებელი. როცა მე წავალ პოლიტიკიდან, სისტემა იქნება თვითკონტროლირებადი. რაც შეეხება პიროვნებებს, მე მარგველაშვილზე ვთქვი, რომ ის არის ძალიან ძლიერი პიროვნება და ძლიერი კაცი. იგივე შემიძლია ვთქვა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილზე. ის ძალიან ძლიერი პიროვნებაა. პრემიერ-მინისტრიც მსგავსი უნდა იყოს. ვიდრე მყიფე დემოკრატია გვაქვს, რა თქმა უნდა, პიროვნებებსაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ერთ კაცზე და ერთ პიროვნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ეს ყველაფერი. — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება წინასაარჩევნო პერიოდში გაცემულ დაპირებებს და ვინ იქნება მის შესრულებაზე პასუხისმგებელი?

ამ კითხვას პრემიერ-მინისტრი ასე პასუხობს:

— ამ მხრივ მთლიანად ვიღებ პასუხისმგებლობას. რა დაპირებებიც გვქონდა ჩვენ არჩევნების პროცესში, მათ დროზე ადრე და გადაჭარბებით ვასრულებთ. ეს უფრო ზოგადია, რომ წლების განმავლობაში უნდა მოახერხოს აღორძინება. სადაც არ უნდა ვიყო და მე ვფიქრობ, რომ არაპოლიტიკაში მყოფი უფრო საინტერესო ვიქნები. მე ვფიქრობ, რომ ის, რაც ოქტომბერში ვთქვი, ერთი ერთზე სრულდება. ყველა ორიენტირი, რაზეც ვთქვი, რომ ასრულებადია, ხდება. დღესაც მიმაჩნია, რომ მე კარგად ვხედავ, რა სჭირდება ჩვენს ქვეყანას. — აღნიშნა ივანიშვილმა.

როგორც აღვნიშნეთ, პრემიერს არ სურს პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ამ ეტაპზე ისაუბროს. ის ამბობს, რომ ქვეყნიდან არ მიდის და ის სამოქალაქო სექტორში გადადის.

— მე მოვახერეხებ წასვლის წინ საზოგადოებას, მედიას ჩემი გუნდის წევრებს, ყველას გავცე პასუხი ყველა კითხვაზე, რაც გაჩნდება. ჩემი წასვლით არაფერი დაზარალდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოვახერხებ მე პოლიტიკიდან წასვლას ისე, რომ ჩემი წასვლით არ დაზარალდეს მთავრობა და ქვეყანა. მე მოვახერხებ, რომ საკმარისი დროით ადრე განვუმარტავ ყველას წასვლის მიზეზებს. თუ ამას ვერ ავხსნი, მაშინ არსად წავალ. მე ვფიქრობ, რომ 20 წელი კიდევ მექნება იმის შესაძლებლობა, რომ სარგებელი მოვიტანო. თუ საზოგადოება არ მიმანიშნებს, რომ ასაკში ჩემი დახმარება აღარ უნდათ. ვარწმუნებ ყველას, რომ დავდგები იქ, სადაც საჭირო ვიქნები. — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ივანიშვილის აზრით, მისი პირადი სურვილია, რომ „კონსტიტუციის ფარგლებში ჩავეტიოთ“.

სკანდალურ ფარულ ჩანაწერებზე და წამების ამსახველ კადრებზე პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ წარმოუდგენელია, რომ ფარული ჩანაწერების შესახებ პრეზიდენტმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა არ იცოდნენ.

— ჩემი აზრით, წარმოუდგენელია, რომ ეს არ იცოდა პრეზიდენტმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა. ეს არის ჩემი, როგორც მოქალაქის აზრი და არა როგორც პრემიერ-მინისტრის. რადგან ამას გამოძიება და მტკიცებულება საჭიროება. ეს ინფორმაცია მე მქონდა და როგორც ჩანს, უკვე ჟურნალისტებმაც იცით. ერთი ფირის გადაღებას საშუალოდ აპარატურა, შტატი, მეთვალყურეობა და ა.შ. 3-5 ათასი ლარი სჭირდებოდა. ნახეთ, სად იხარჯებოდა ჩვენი ფული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რომ ეს არის ადამიანის უფლებების დარღვევა და ა.შ, ნახეთ, რა თანხები იხარჯებოდა ამაზე. უხეშად რომ ვთქვათ, ფულზე გადაამრავლეთ ყველაფერი. ეს თანხა ხომ ბიუჯეტის ფული იყო. როგორ არ იცოდნენ. კითხვები არსებობს და ამაზე შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გასცენ პასუხი. — განაცხადა ივანიშვილმა.



რაც შეეხება კითხვას — რა იყო ყველაზე ხელის შემშლელი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ? ივანიშვილის განცხადებით, ძირითადი წინააღმდეგობა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისევ წინა ხელისუფლების მხრიდან იყო.

— მე ვფიქრობ, რომ ზოგადად პროცესების განვითარებაზე სწორი წარმოდგენა მქონდა. დაახლოებით, ისე მიმდინარეობს, როგორც ვთქვი. როცა 2-დან 3 წლამდე პოლიტიკაში დარჩენაზე ვსაუბრობდი, პრაქტიკულად, მინიმუმით ირკვევა ამის საჭიროება. ასევე შემიძლია, ვთქვა, რომ ჩვენ საუკეთესო მთავრობა შევარჩიეთ. ძირითადი წინააღმდეგობები, რაც ჩანდა თავშივე, რა თქმა უნდა, გარედან თუ შიგნიდან შეგვხვდა, ისევ წინა ხელისუფლების მხრიდან, რომ ისინი თეთრზე ისევ შავით საუბარს ახერხებენ და ვერ ახერხებენ. უფრო მეტი პრობლემა მოახერხეს და შექმნეს გარეთ და აგრძელებენ ამას, მაგრამ ეს ყველაფერი დაძლევადია. ჩვენ არ გვაქვს ამ დონის პიარი და არც ვაპირებთ, რომ გვქონდეს. ჩვენი ამოცანა გაცილებით მარტივია, ისინი ახერხებდნენ შავი თეთრად მოეჩვენებინათ, ჩვენი ამოცანა კი არის თეთრი თეთრად მოვაჩვენოთ. ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ რასაც ვაკეთებთ, ის იქნეს დანახული და ობიექტურად იქნეს აღქმული. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ძირითადი წინააღმდეგობები დავძლიეთ. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა პრესკონფერენციაზე სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზეც ისაუბრა.

ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნები იყო თავისუფალი, ხოლო მისი გუნდის ზოგიერთი წევრის კრიტიკა — არაკორექტული.

— ძალიან ბევრი კითხვა არსებობს საზოგადოებაში, გუნდშიც კი. ჩატარდა არჩევნები, არჩევნები იყო თავისუფალი. იქ გამოთქვეს კრიტიკული მოსაზრებები ჩვენი გუნდის ზოგიერთმა წევრმა, რაც, ჩემი აზრით, არაკორექტული. არჩევნები ისეთი იყო, როგორიც იყო. ვერც სასამართლო, ვერც მთავრობა და ვერც სხვა შემადგენელი ნაწილი ჩვენი საზოგადოების ვერ იქნება იდეალური. დღეს არაა იდეალური, მაგრამ არის უკეთესი. სასამართლოსთან დაკავშირებით მთავარი და გადამწყვეტი იქნება ის ნება, რომელიც არსებობს დღეს ხელისუფლებაში, რომ არც ვიფიქროთ და არც გავბედოთ ჩავერიოთ სასამართლოს უფლებებში და არ დავიწყოთ ამ მიმართულებით ქმედებები. ეს საზოგადოებისთვის შესამჩნევი იქნება. მე ვფიქრობ, რომ სასამართლო არის დღეს საზოგადოების ისეთივე ნაწილი, როგორიც გახლავთ ჟურნალისტიკა, მთავრობა, პროკურატურა, პოლიცია. ჩემი სურვილი იქნებოდა, უფრო ადრე განვითარდეს და უფრო წინმსწრები იყოს სასამართლო და ამისთვის ჩემზე დამოკიდებულს ყველაფერს გავაკეთებ, ამ შემთხვევაში, რომ არ ჩავერიო და მივცე საშუალება, სასამართლო იყოს დამოუკიდებელი. მე ვფიქრობ, პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა. მოსამართლეებმა გააცნობიერეს ახალი გუნდის პოზიცია, რომ არ ჩავერევით და ნელ-ნელა მოახერხებენ ისინი, რომ მაქსიმალურად იყვნენ დამოუკიდებელნი. ის, რაც ხდებოდა, იქიდან გამოსვლას დრო დასჭირდება, თავისუფლების ხარისხი მომავალში ამაღლდება. ვფიქრობ, მივიღეთ უკეთესობა. — აცხადებს ივანიშვილი.

პრემიერმა ქუთაისის მერიაში და საკრებულოში განვითარებულ პროცესებზეც ისაუბრა.

ივანიშვილის განცხადებით, კოალიციის ზოგიერთი წევრი ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესებში ჩარევას ცდილობს.

— სამწუხაროა, რომ ქუთაისში ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემების მოგვარება ასე მიმდინარეობს. მე საქმის კურსში ვარ, მაგრამ ამ პროცესებში არ ვერევი. არ მინდა, ახლა დავიფიცო, მაგრამ მინდა, რომ ყველაფერი ბუნებრივად განვითარდეს. თუმცა ჩვენი კოალიციის ზოგიერთი წევრი ცდილობს ჩარევას. ჩვენ კანცელარიაში სტრუქტურა შევქმენით, რომელიც ცდილობს, კოორდინაციაში მიიღოს მონაწილეობა. დაველოდოთ მოვლენებს. ქუთაისის მერს მართლაც კარგი ბიოგრაფია აქვს, თუმცა მას არ აქვს გამოცდილება. მე პირადად არ ვიცნობ, შესაბამისად, რეკომენდაციაც არ გამიწევია მისთვის. სასურველი იქნებოდა, რომ ეს პროცესები ქუთაისში უფრო კარგად განვითარებულიყო. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზეც ისაუბრა. მისი განცხადებით ისინი საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები არიან და მათთან მიმართებაში არაკორექტული ტერმინების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

— ნუ გავიწყდებათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საზოგადოების წევრები არიან და დაანებეთ თავი ამ ტერმინების გამოყენებას. შევეცადოთ, რომ გამყოფი ხაზი აღარ იყოს. — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა ისრაელში ვიზიტზე ისაუბრა. როგორც გაირკვა, ვიზიტის ფარგლებში იარაღთან დაკავშირებით ისრაელთან საუბარი იყო, თუმცა ვიზიტი იარაღის შესასყიდად არ განხორციელებულა.

ასე გამოეხმაურა თავდაცვის ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის მიერ გავრცელებული ინფორმაციას პრემიერი.

შაშკინმა ინფორმაცია მიაწოდა პრესას, რომ 2012 წლის ნოემბერში ამერიკა-საქართველოს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომ ამერიკას საქართველოსთვის საჰაერო თავდაცვის იარაღი უნდა გადმოეცა.

— ჩემი აზრით, სწორი დიპლომატია და სწორი ქცევებია პირველი რიგში საუკეთესო თავდაცვა. ჯარს, რა თქმა უნდა, თავისი ფუნქცია აქვს, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. თუ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს გადავხედავთ, სწორედ ამას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჯარი გვყავს აბსოლუტურად გაწვრთნილი, მაგარი ჯარისკაცები გვყავს, მაგრამ როგორც ვნახეთ, ბოლოს ძალიან ცუდი შედეგი მივიღეთ. რაც შეეხება უფრო შაშკინის განცხადებას, კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, თუმცა ამერიკასთან არც ერთი პროექტი არ ჩაშლილა და არაფერი გაუარესებულა. ყველაფერი გრძელდება, რაც იყო დაგეგმილი. რაც შეეხება იარაღის ყიდვას, ჩვენ ამ ეტაპზე ამის საჭიროება არ გვაქვს. ისრაელთან მე მქონდა მოლაპარაკებები, მათ რიცხვში მე მქონდა კონფიდენციალური ნაწილიც, მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობით, რომ ჩვენ იქ იარაღის საყიდლად ჩავედით — ასე არ არის. ამ ეტაპზე ყველაფერი წესრიგში გვაქვს. — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ახალი აეროპორტის მშენებლობას არ გამორიცხავს.

— ავიაბაზარს რაც შეეხება, მე ძალიან ბევრს ვმუშაობ ამ საკითხზე, ეკონომიკის მინისტრთან ერთად. ახალ აეროპორტზეც შეიძლება, ფიქრი — არ მინდა, დავასწრო მოვლენებს და ძალიან სერიოზულ კვლევებს. ჩემი იდეა იყო, რომ ასაფრენი ზოლის მშენებლობა ჯდება დაახლოებით 60 მილიონი, მაგდენივე შეიძლება, დაჯდეს ახალი აეროპორტი და ამ ზოლის აშენების პროცესი ჩვენ ცოტა გავაჭიანურეთ, ისიც ობიექტურად, რამეთუ ფასებსა და ხარისხზე იყო სერიოზული პრობლემები. თურქული კომპანია „ტავი“, რომელიც ჩვენს აეროპორტს მართავს, ვცდილობ, ზუსტად მათზე დაყრდნობით მოხდეს შემდგომი განვითარება, თუ ისინი შეძლებენ, თუ არადა, ალტერნატივებს ვამზადებ დაუფარავად. ეს უნდა იყოს ხარისხიანი. მოგვიანებით მოგახსენებთ, მე მგონი, იქაც ძალიან საინტერესო ნაბიჯებს გადავდგამთ. რაღაცები წამომცდა და არ მინდა, მოვლენებს გავასწრო. — განაცხადა ივანიშვილმა.

# ზაზა დავითაია: „სააკაშვილის რეჟიმი მსოფლიომ უნდა გაასამართლოს“

## რატომ უნდა უპატრონის ხელისუფლებამ ყოფილ პატიმრებს



შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში დღეს ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის რეჟიმი უნდა გასამართლდეს. ამ მოთხოვნას სრულად ეთანხმება ყოფილი პოლიტპატიმარი, „ასავალ დასავალის“ ჟურნალისტი და უფლებადამცველი ზაზა დავითაია. მისი აზრით, ჩადენილი დანაშაულისთვის ნაციონალებს სასამართლო საქართველოსთან ერთად საერთაშორისო თანამეგობრობამაც უნდა მოუწყოს.**

**რატომ უნდა გაასამართლოს მსოფლიომ ნაციონალები, ვინ აფერხებს სამართლიანობის აღდგენას, რატომ უნდა გამოიჩინოს ხელისუფლებამ ყურადღება ყოფილი პატიმრების მიმართ, ამ თემებზე ზაზა დავითაია „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

**ზაზა დავითაია:**

– მე, როგორც უფლებადამცველს, ხშირად მიკავშირდებიან ყოფილი პატიმრები და შემომჩივიან, რომ მათ არა აქვთ სამუშაო. მესმის, რომ ძალიან ძნელია ყოფილი პატიმრების დასაქმება მაშინ, როცა ათეულობით ათასი ადამიანი ვერ შოულობს სამსახურს. ამის მიუხედავად მიმაჩნია, რომ ყოფილი პატიმრების დასაქმება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხის მოსაგვარებლად ხელისუფლებამ ფიქრიც უნდა დაიწყოს და გარკვეული სახსრებიც ჩადოს. სხვა თუ არაფერი, ყოფილი პატიმრების დასაქმება წარმოადგენს დანაშაულის პრევენციას. მარტო მათი თვალთვალით დანაშაულს ვერ ავიცილებთ. მათ ისეთი პირობები უნდა შევუქმნათ, რომ ხელი არაფერზე წაუცდეთ და განმეორებით არ ჩაიდინონ დანაშაული.

*– **დარწმუნებული ხართ, რომ დასაქმების შემთხვევაში ისინი განმეორებით დანაშაულს აღარ ჩაიდენენ?***

– სააკაშვილის რეჟიმის წყალობით ციხეში ტყუილად გავატარე რამდენიმე წელი. იქ შეხება მქონდა სხვადასხვა კატეგორიის პატიმრებთან და კარგად შევისწავლე მათი ბუნება. არის პატიმრების კატეგორია, რომლებიც კრიმინალისადმი არიან მიდრეკილი და დანაშაულის ჩადენის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. პატიმრების მეორე კატეგორიას ციხეში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი განეკუთვნება. ისინი სრულიად შემთხვევით მოხვდნენ ციხეში. ასეთი რამისგან არავინ არა ვართ დაზღვეული. ასეთი პატიმრები კრიმინალისკენ მიდრეკილებად არ ითვლებიან. სახელმწიფოს მათდამი სხვანაირი დამოკიდებულება მართებს. სახელმწიფომ მათი ბუნება უნდა შეისწავლოს და ამისთვის ცალკე სამსახური უნდა არსებობდეს. ამისთვის მხოლოდ პრობაციის სამსახური საკმარისი არ არის. ეს სამსახური ყოფილი პატიმრების საზოგადოებაში რესოციალიზაციაზეც უნდა ზრუნავდეს. მეორე ტიპის პატიმრების კატეგორიაში უნდა გავიყვანოთ ის ხალხი, რომლებმაც შვილის ავადმყოფობის ანდა უკიდურესად მძიმე სოციალური პირობების გამო ჩაიდინეს დანაშაული, ვთქვათ, მოიპარეს რაღაც. ასეთ ადამიანებსაც განსხვავებულად უნდა მივუდგეთ. პატიმარს საზოგადოება ისედაც კითხვის ნიშნით უყურებს. აქედან გამომდინარე, ისინიც დაკომპლექსებული არიან. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი ფონი, რომ ყოფილ პატიმრებს და საზოგადოებას ერთმანეთთან შეგუება გაუადვილდეს. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოყოს მატერიალური რესურსი და ეს ხალხი დაასაქმოს. ზოგ შემთხვევაში მათი დასაქმება ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით უპირატესიც კი უნდა იყოს. მე ხშირად მიკავშირდებიან ყოფილი პატიმრები, რომლებიც დგანან ალტერნატივის წინაშე.

*– **რა ალტერნატივის?***

– მათ აწუხებთ სანაცნობო წრე, რომლებიც კრიმინალურ სამყაროსთან გარკვეულ კავშირებს უზრუნველყოფენ. ეს არის მათთვის მუდმივი ცდუნება. მათ სერიოზულ პრობლემას უქმნის ეს მომენტი. ისინი მუდმივი ცდუნების ქვეშ დგანან. მით უმეტეს, რომ მათ უთვალთვალებენ.

*– **ვინ უთვალთვალებს?***

– პოლიცია.

*– **კანონიერად ხორციელდება ეს თვალთვალი?***

– ზოგჯერ კანონიერად, ზოგჯერ უკანონოდ. ახლახან ჭიათურის რაიონის სოფელ სუთიდან დამიკავშირდა ქალბატონი. მან მითხრა, რომ მისი დისშვილი, რომელიც ციხიდან ახალი გამოსულია, ჭიათურის პოლიციაში დაიბარეს. ამ ახალგაზრდას სამართალდამცველებმა ჭიათურის დატოვება მოსთხოვეს. თუ ეს ადამიანი რაიმეს აშავებს, რატომ არ აპატიმრებს მას პოლიცია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის არაფერს არ აშავებს, არავის არა აქვს უფლება, ის სახლიდან გააძევოს. იმაზე რატომ არავინ იფიქრა, რომ ჭიათურიდან გაძევებულმა ადამიანმა შესაძლოა სხვაგან ჩაიდინოს დანაშაული. გამოდის, რომ პოლიცია ამ ადამიანს კრიმინალისკენ უბიძგებს. ასეთი ფაქტები საკმაოდ ხშირია. ციხეში ყოფნისას მე გავიცანი აზიზ ალოევი. ის ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს. ეს ადამიანი საქართველოზე შეყვარებულია. ბევრ ქართველზე მეტად უყვარს ჩვენი დედაქალაქი. ძალიან განიცდის იმას, რომ არა აქვს სამუშაო. ერთხელ დავეხმარე მას და კერძო სამშენებლო კომპანიაში მოვაწყვე მუშად. კარგი სახელი დაიმკვიდრა და პატიოსნად იმუშავა. დამთავრდა ის სამუშაოები და ეს ადამიანი კვლავ სამსახურის გარეშე დარჩა. ის მზად არის ნებისმიერი ფიზიკური სამუშაო შეასრულოს, მაგრამ ვერ შოულობს. შემომჩივლა, რა ვქნა, იძულებულს მხდიან, რაღაცის მოპარვაზე ვიფიქროო. არადა, არ უნდა ამ ადამიანს ციხეში წასვლა, პატიოსანი მუშაობა უნდა. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ასეთი პატიმრების რესოციალიზაციაზე. ხშირად ასეთი ყოფილი პატიმრები უფრო გამოსადეგი არიან ქვეყნისთვის.

*– **დასაქმებით ვერ ასაქმებს, მაგრამ ამჟღავნებს თუ არა ხელისუფლება მათ მიმართ რაიმე ყურადღებას?***

– სამწუხაროდ, არა. ქვეყანაში უამრავი ისეთი ფონდია, რომელიც არაფრით არ შეესაბამება ქართულ ცნობიერებას, ავიღოთ თუნდაც ლგბტ ორგანიზაციები. ისინიც ადამიანები არიან და თავიანთი პოზიციის ქონის უფლება აქვთ. ამ ორგანიზაციებს ვიღაცა ხომ აფინანსებს. იმედია, მათ სახელმწიფო არ აფინანსებს. მე მაინტერესებს და მიკვირს, რატომ არ არის ქვეყანაში პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდი, სადაც თავმოყრილი იქნება მათი მონაცემები და მოუძებნიან სამსახურს. ბევრი პატიმარი ვიცი, რომელიც ნებისმიერი შავი სამუშაოს შესრულებისთვის მზადაა. ამ ხალხს პატიოსანი შრომით ნაშოვნი ლუკმა უნდათ. მოვმართავ ბიზნესმენებსაც, რომ მათ შექმნან საწარმო, სადაც ყოფილ პატიმრებს დაასაქმებენ. ამით ისინი პირველ რიგში საკუთარი ოჯახის უსაფრთხოებას დაიცავენ. რა მოხდება, ხელისუფლებამ ერთი პატარა საწარმო შეუქმნას ამ ხალხს, თუ ამ ხელისუფლებასაც არ სურს წარმოების ამუშავება? საწარმოო იმისთვის მაინც შექმნან, რომ ეს ხალხი დასაქმდეს და კრიმინალი არ ჩაიდინონ. ვიმეორებ, ეს ხალხი ძალიან დიდი ცდუნების წინაშე დგას. საზოგადოებამაც უნდა ამოიღოს ხმა, რათა კრიმინალის წამხალისებლად არ გახდეს. ხელისუფლების უმოქმედობა კი პირდაპირ შეიძლება დანაშაულად ჩავთვალოთ. ყოფილი პატიმრები ამ საზოგადოების ისეთივე ნაწილი არიან, როგორც პარლამენტში მყოფი დეპუტატები. როგორ მოხვდნენ ისინი საკანონმდებლო ორგანოში, კაცმა არ იცის.

*– **რატომ არ ინტერესდება ხელისუფლება პატიმრების ბედით, სხვა თუ არაფერი, არჩევნები იმ კადრებით მოიგეს, რომლებზეც პატიმართა წამება იყო ასახული.***

– არ ვიცი, რატომ იქცევიან ასე. ასეთი დამოკიდებულება მე დანაშაულად მიმაჩნია. დადგა დრო, რომ ახალი ხელისუფლების ნაკეთები საქმეები შევაფასოთ. დრო გადის და მოსავალი არ ჩანს. ან ჩანს ისეთი შედეგი, რომლისთვისაც ასეთი გლობალური ცვლილებები არ ღირდა. ამ დროს ხალხმა უნდა გამოიტანოს დასკვნა. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლება არ დგას სათანადო დონეზე. ძალიან დიდი მადლობა, რომ ადამიანებს აღარ აწამებენ. ოღონდ, ეს ქართველი ხალხისთვის საკმარისი არ არის. საკმარისი არაა ამ ხელისუფლების ასატანად. ხელისუფლება მარტო იმას კი არ დაგვპირდა, ადამიანებს აღარ ვაწამებთო. დაგვპირდა, რომ კარგად ვაცხოვრებ ხალხსო. მართალია ცუდისკენ არ დგამენ ნაბიჯებს, მაგრამ არც კარგისკენ მიდის საქმე.

*– **იქნებ დრო არ ეყოთ?***

– საკმაოდ დიდი დროა გასული იმისთვის, რომ შედეგი დაგვენახა. სერიოზული შედეგი, სამწუხაროდ, არ ჩანს.

*– **დღეს ძალიან მწვავედ დგას ზონდერების თემა. ხალხი ჩივის, რომ ისინი ისევ სამსახურებში არიან. გივი თარგამაძემაც კი წამოაძახა ხელისუფლებას, რატომ ჰყავთ ძალოვან სტრუქტურებში ზონდერებიო. თქვენი აზრით, რატომ ვერ ელევა ოცნება ამ ხალხს?***

– თემა, რომელიც გივი თარგამაძემ წამოსწია, ყურადსაღები და შემაშფოთებელია. ზონდერები დღევანდელ ხელისუფლებაში მართლა წინაურდებიან. ყველაზე კარგად ისინი ძალოვან უწყებებში გრძნობენ თავს. პირადად ვიცი უამრავი პროკურორი, რომლებიც საქმეებს თითხნიდნენ და ახლა სამსახურებში არიან. ვიცი პოლიციელებიც, რომლებიც უკანონო საქმეებს სჩადიოდნენ და დღეს თანამდებობებზე იმყოფებიან. მათ მიერ დათრგუნული ხალხი კვლავ დათრგუნულ მდგომარეობაშია. მათი დამთრგუნველები კი წინაურდებიან. ეს შემაშფოთებელია, მაგრამ როცა ამ საკითხს გივი თარგამაძე ახმაურებს, ის ღიმილის მომგვრელია.

*– **რატომ არის ღიმილის მომგვრელი?***

– ის ზონდერების მფარველი იყო და ზონდერების დამოძლვრაში ჭიპი ჰქონდა მოჭრილი. ამ თემის წამოწევით ის არსებულ ხელისუფლებას დახმარებასაც კი უწევს. ზონდერებზე ძველი ხელისუფლების ნაშთებმა, მით უმეტეს, გივი თარგამაძემ არ უნდა ისაუბროს. მთელი მათი რესურსი ზონდერების შექმნას ხმარდებოდა. რეგიონების მიხედვით მოქმედებდნენ მათ მიერ შექმნილი ზონდერჯგუფები. თითქმის ყველა სფეროში შეიჭრნენ და ყველა სფეროში ატერორებდნენ. არაფორმალური გაერთიანებებიც კი იყო შექმნილი. ამის ნათელი მაგალითია ბადრი ბასიშვილის დაჯგუფება. მათ დღესაც დიდი გავლენა აქვთ და მოსახლეობასაც აშინებენ.

*– **ხელისუფლება რას ელოდება? მათაც ეშინიათ ზონდერების?***

– ზონდერების არ ეშინიათ. სამაგიეროდ, მათთან ძალიან შთამბეჭდავ და საეჭვო კოჰაბიტაციას მიაღწიეს. კოჰაბიტაცია უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში. კანონის დამცველის და დამნაშავის კოჰაბიტაცია არ გამიგია. არ შეიძლება ხელისუფლებამ შეუნდოს ზონდრებს. როცა მათ ასაქმებს, გამოდის, რომ მათი დანაშაულის თანამონაწილეა. ასე თუ გაგრძელდა, ხალხში სერიოზული საპროტესტო განწყობა გაჩნდება.

*– **მათთან კოჰაბიტაციის ფონზე ყოფილი პოლიტპატიმრების საკითხსაც შევეხოთ. რამდენიმე ათეული ადამიანი დღემდე ამაოდ ითხოვთ პოლიტპატიმრის სტატუსის მიღებას. ისევ ჭიანურდება თქვენი საკითხის განხილვა პარლამენტში?***

– ამ სტატუსს ვერაფრით ველირსეთ. არც პარლამენტიდან ისმის რაიმე საიმედო. ახალი ამ საქმეში ისაა, რომ ჩვენი საკითხის დასმას უჩა ნანუაშვილი აპირებს. აბა, ვნახოთ, რას იზამს სახალხო დამცველი. სამწუხაროდ, ხელისუფლება ამ საკითხის მიმართ ყურადღებას ჯერ არ იჩენს.

*– **ციხეებზე, ადამიანების წამებაზე თქვენ ბევრს წერდით. როგორც ჟურნალისტს და როგორც უფლებადამცველს, ალბათ უამრავი საშინელი ისტორია მოგისმენიათ, მაგრამ ის ისტორიები, რასაც ბოლო დღეებში ვისმენთ, იმდენად შემზარავია, რომ დაუჯერებელიც კი არის. ამაზე რისი თქმა შეგიძლიათ?***

– ყველაფერს გამოძიება დაადგენს. ეს ყველაფერი იმდენად შემზარავია, რომ ადამიანს დაუჯერებლად ეჩვენება. ამის დაჯერება განსაკუთრებით იმ ხალხს უჭირს, რომლებსაც ასეთ საშინელებებთან შეხება საერთოდ არ ჰქონიათ. იმდენად შემზარავია ეს ყველაფერი, რომ ვერც კი დაიჯერებ, რომ ადამიანს ამის გაკეთება შეეძლო. ის, რაც გამჟღავნდა, არის ჩვენი ტრაგედია. ძველმა ხელისუფლებამ შექმნა საწამებელი სისტემა. ეს მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების დეფიციტზე. ქვეყანას სამოქალაქო საზოგადოება არ ჰყოლია, რადგანაც ხელისუფლებამ შეძლო ასეთი მახინჯი სისტემის შექმნა. ეს რომ სისტემა იყო, ამაზე მგონი აღარავინ აღარ დავობს. სამ უწყებაში – შსს-ში, თავდაცვისა და სასჯელაღსრულების სამინისტროში აწამებდნენ ადამიანებს. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ წამება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. მე პირადად არ გამიკვირდება თუ წამებას კულტურის, ანდა სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც ჰქონდა ადგილი. როცა სახელმწიფოს აქცენტი აქვს აღებული წამებაზე, ყველაფერია მოსალოდნელი. ის დანაშაული, რაც სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა, გასცდა საქართველოს ფარგლებს. ეს აღარ არის მარტო ქართველი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული, ეს არის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული. ეს ფაქტები თავად ძველი რეჟიმის მიერ არის გადაღებული ფირებზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანას მართავდა კაცთმოძულე კასტა, რომელიც სახალხო სასჯელს იმსახურებს. დაახლოებით ისეთს, როგორიც იყო ნიურბერგის პროცესი. ამ რეჟიმის წევრთა დასჯაზე რომ მიდგება საქმე, ტრიბუნალის მაგვარი უნდა შეიქმნას. მე ვარ უაღრესად პაციფისტი და ჰუმანური ადამიანი. თუმცა მიმაჩნია, რომ ამ ადამიანების სიკვდილით დასჯა იქნება მათივე ხსნა.

*– **ამ შეფასების გამო ბევრი გაგკიცხავთ. ჩემთვისაც მოულოდნელი იყო თქვენი ეს განცხადება?***

– ის არ იყო გასაკიცხი, რასაც ეს ადამიანები სჩადიოდნენ? ეს ის ხალხისა რომელიც საზოგადოებას არასდროს აღარ გამოადგება. ეს ხალხი საერთაშორისო სასამართლომ უნდა გაასამართლოს. როგორც უკვე ვთქვი, მათ კაცობრიობის წინაშე ჩაიდინეს დანაშაული. ეს ის ხალხია, რომლებიც სკამზე და ცხაურზე დასკოჩილ ადამიანებს აუპატიურებდნენ. ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ვერასდროს ვერ გახდებიან. თუმცა მაცხოვარი ხელიდან წასული ადამიანის სინანულსაც არ გამორიცხავს, მაგრამ ის სრულიად გამორიცხავს სატანის და ანტიქრისტეს მხრიდან სინანულს. ესენი კი სატანები და ანტიქრისტეები იყვნენ.

# მიხეილ მაჭავარიანი: „ბიუჯეტი ვერ სრულდება“

შორენა მარსაგიშვილი

მოსახლეობა დიდ გაურკვევლობაშია. მეოცნებეები ამტკიცებენ, რომ ვვითარდებით და წინ მივდივართ, ნაციონალები კი დაქცეულ ქვეყანაზე ტირიან. დაქცეული ქვეყნის დაქცეული ეკონომიკა ნაციონალების სახელით გუშინ დეპუტატმა მიხეილ მაჭავარიანმა დაიტირა.

მაჭავარიანმა და ნაცმოძმემ მშობლიური ეკონომიკა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე დაიტირეს. ნაციონალების თქმით, ეს მონაცემები ეკონომიკური სტაგნაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტია.

მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, მაისის თვეში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა შეჩერდა და ნულს გაუტოლდა, ხოლო დღგ-ს ბრუნვები, – ბიზნეს აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომი – 6,2 %-ით შემცირდა, რაც ეკონომიკურ ვარდნაზე მიუთითებს.

– სამწუხაროდ, ეს უტყუარი ტენდენცია ცხადყოფს, რომ ქვეყანა, მთავრობის მიერ დაგეგმილ ექვს პროცენტიან ზრდაზე ვერ გავა, რაც, ასევე სამწუხაროდ, გამოიწვევს კიდევ უფრო მეტი ჩვენი თანამოქალაქის უმუშევრად დარჩენას, – განაცხადა მჭმუნვარე მაჭავარიანმა.

მაჭავარიანს თუ დაუჯერებთ, ახლა უფრო სავალალო და უბედური სურათი ყოფილა ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით.

– ფინანსთა სამინისტროსვე თანახმად, 2013 წლის ივნისის თვის საგადასახადო შემოსავლებმა 429 მლნ შეადგინა, რომელიც 2012 წლის ივნისთან შედარებით 57მლნ-ით ნაკლებია (486 მლნ-429მლნ= 57 მლნ). სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, პირველადი ვარიანტით ბიუჯეტის შესრულება უნდა ყოფილიყო 3,228 მლნ, ექვსი თვის შესრულებამ კი შეადგინა 2,981 მლნ, რაც 247 მლნ-ით ნაკლებია გეგმასთან მიმართებაში (3,228 მლნ – 2,981 მლნ = 247 მლნ). ასეთი დიდი ჩავარდნა დაფიქსირდა მიუხედავად იმისა რომ ფინანსთა სამინისტრო წინასწარ კრეფს გადასახადებს და დღგ-ს გადამხდელებს უკან აღარ უბრუნებს, – აცხადებს დეპუტატი.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2014 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა დაიწყო.

– შევთანხმდით, რომ ივლისსა და აგვისტოში აქტიურად ვიმუშავებთ, რომ ბიუჯეტის პროექტის სრულყოფილი ვარიანტი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საქართველოს პარლამენტს 30 სექტემბრამდე წარუდგინოთ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

მან საქსტატის მიერ დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდის 0%-იანი მაჩვენებლის შესახებაც გააკეთა კომენტარი.

– გეტყვით რატომ დაფიქსირდა მაისში 0%-იანი ზრდა. მაგალითად, იყო ერთი კომპანია, რომელსაც შარშან 168 მილიონიანი ბრუნვა ჰქონდა, თუმცა არც მანამდე და არც მას შემდეგ არაფერი აქვს გაკეთებული. ცხადია, ჩვენ ვსწავლობთ ეს კომპანია ან საიდან მოვიდა, ან სად წავიდა. ასეთი თანხების დაფიქსირება კი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე პირდაპირ აისახება. ცხადია, 0%-იანი მაჩვენებელი კარგი არ არის, მაგრამ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. ასევე შარშან ძალიან ბევრი თანხა დაიხარჯა პარლამენტის შენობის, ბათუმის თეატრის, იუსტიციის სახლების მშენებლობაზე, რაც ეკონომიკურ მაჩვენებლებზე პირდაპირ აისახა. ეს არის რეალობა. ახალმა ხელისუფლებამ ბიზნესში უხეში ინტერვენციებზე უარი განაცხადა, რის შედეგადაც სამომავლოდ ეკონომიკური ზრდა, თავისუფალი ბიზნეს-გარემოს პირობებში მიიღწევა, – აცხადებს ხადური.

## ირაკლი ალასანია ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრს ლინას ლინკევიჩიუსს შეხვდა. ორმხრივი შეხვედრა, ლიტვაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა.

საგარეო უწყებაში გამართულ შეხვედრაზე, მხარეებმა რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები, ქვეყანაში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარება, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივები და ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

„განვიხილეთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობები – როგორც პოლიტიკური, ასევე დიპლომატიური, რომელიც უმაღლეს დონეზეა. ლიტვა მხარს უჭერს საქართველოს სრულ ინტეგრაციას ევროპაში და ნატოში. ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლიტვა ევროსაბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა გახდა. განვიხილეთ როგორც შიდა პოლიტიკური, ასევე რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები. მინდა აღვნიშნო, რომ გვაქვს მყარი მხარდაჭერა ჩვენი ლიტველი პარტნიორებისგან, რომ საქართველოს ინტეგრაცია კიდევ უფრო დინამიურად განვითარდეს და გაღრმავდეს ურთიერთობები ევროკავშირსა და საქართველოს შორის“ – განაცხადა ალასანიამ. თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ლიტვაში ოფიციალური ვიზიტით 1 ივლისს გაემგზავრა. სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა შეხვედრები გამართა თავდაცვის სამინისტროში, სამხედრო აკადემიაში, ლიტვის პარლამენტში და სიტყვით გამოვიდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კონფერენციაზე.

**ნიუსპრესი**

## ნინო ბურჯანაძე: „მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის და საპრეზიდენტო კანდიდატის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხი უნდა დადგეს“. ამის შესახებ ბურჯანაძემ „პალიტრას“ ეთერში განაცხადა.

„როგორ შეიძლება, კუბლაშვილზე თქმა, რომ თავისი ვადა უნდა დაასრულოს. მისი საქმეები რომ გამოიძიონ, დარწმუნებული ვარ, კუბლაშვილის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დადგება. ყველა საქმე ბოლოს კუბლაშვილამდე მიდიოდა და საბოლოო გადაწყვეტილებას ყველაფერზე სასამართლო იღებდა. მნიშვნელოვნად მიმაჩნია ასევე, რომ მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, რადგან ის ასობით და ათასობით საქმე, რაზეც უკანონო განაჩენი დადგა, იმათი დამსახურება იყო. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

**პირველი**

## დავით უსუფაშვილი გერმანიის დელეგაციას შეხვდა



სტამბულში მიმდინარე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელს დორის ბარნეტსა და დელეგაციის წევრებს, ჰელგა დაუბის და იურგენ კლინკეს შეხვდა.

შეხვედრის თემები – საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესები, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები და რუსეთთან ურთიერთობები გახლდათ.

დავით უსუფაშვილმა გერმანულ მხარეს, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გამო მადლობა გადაუხადა. ხოლო, გერმანიის დელეგაციის წევრებმა, საქართველოს მიერ, საერთაშორისო ასპარეზზე გადადგმული ნაბიჯების გამო კმაყოფილება გამოთქვეს.

„მე მგონი არ არსებობს არანაირი მიზეზი, რომ საქართველოს უარი ეთქვას ასოცირების ხელშეკრულებაზე“ – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

**ნიუსპრესი**

## მიხეილ სააკაშვილი: „მინდა, გავაფრთხილო პრემიერ-მინისტრი – ხელები შორს „რუსთავი 2“-სგან“



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს აფრთხილებს „ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისგან ხელები ყველამ შორს დაიჭიროს“. ამის შესახებ პრეზიდენტმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც პრემიერის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა, რომელის თანახმად, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ პროცესებში პოლიტიკური ჩარევა არ მოხდება“. „საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღწერა, რომ მიმდინარეობს ბოლო დარჩენილი დამოუკიდებელი ნაციონალური მედიასაშუალების მიმართ სისხლის სამართლებრივი გამოძიება პროკურატურის მიერ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მესაკუთრის გამოცვლასთან დაკავშირებით. მე მინდა, მოვუწოდო პრემიერ-მინისტრს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს გამოძიება. შევარდნაძის დროიდან ბევრი რაღაც მეორდება, მაგრამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე თავდასხმა იყო ერთ-ერთი ყველაზე მწარე ეპიზოდი შევარდნაძის მმართველობის. სისხლის სამართლის აღძვრა ამ თემაზე და უამრავი ადამიანის დაკითხვა, რაც ბოლო დროს ხორციელდება, ეს არის ძალიან საშიში პროცესი და ჩემი ინფორმაციით, რაც დღეს ფაქტიურად დადასტურდა, რომ ეს პროცესი მივა „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობამდე. მე კარგად ვიცი უკვე პრემიერის ლოგიკა, როცა ის ამბობს, რომ არ ერევა, მაგრამ ეს არის სამართლებრივი პროცესი, სულ ცოტა ხანში ამას მოყვება ხოლმე ამ ადამიანის დაპატიმრება ან პირდაპირი უხეში ჩარევა. ჩვენ უკვე ვისწავლეთ მისი სიტყვებს რა მოყვება. მე მინდა, გავაფრთხილო ის – ხელები შორს „რუსთავი 2“-სგან. ეს არის დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტი საქართველოში, რომელიც არის ჩვენი ცხოვრების მონაპოვარი. ეს არის კავშირი არჩევნებთან, რადგან არჩევნები ჩაითვლება დემოკრატიულად, თუ ყველას აქვს ინფორმაციის წვდომა. ეს საკითხები მართლაც მთელი საზოგადოების ზრუნვის წყარო უნდა იყოს“, – განაცხადა სააკაშვილმა.

**პირველი**

მაგთი
MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

# მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას...

გიორგი ლეონიძის ლექსის, სათაურში გატანილი ეს სტრიქონი, ალბათ რეალობად იქცა ბევრი ადამიანისთვის, ვინც „მაგთიკლუბში“ (სადაც გამართული ყოველი პრეზენტაცია, შეხვედრა თუ კონცერტი ყოველთვის გამორჩეული და დასამახსოვრებელია) ახალი წიგნის „საქართველო და ქართველები“ წარდგინებას დაესწრო, შინ დაბრუნებულმა კი, ამ წიგნის კითხვაში ღამე გაათია.

„მაგთიკლუბის“ საღამოებს ყოველთვის უამრავი ადამიანი ესწრება. მეცნიერები, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, საქართველოს, საქართველოს ისტორიის, ავტორების, „მაგთიკომის“ გულშემატკივრები და ამ უკანასკნელის მომხმარებლები.

„მაგთის“ მიერ სერიით, „ჩვენ ქართულ საქმეს“ ვაკეთებთ (რომლის სლოგანი არა ცარიელი სიტყვები კი



არა, რეალობაა), წიგნი საზოგადოებას ავტორებმა – ისტორიკოსებმა – ზაზა აბაშიძემ (იგია გამოცემის რედაქტორიც), მიხეილ ბახტაძემ და ოთარ ჯანელიძემ წარუდგინეს. ნაშრომი მათ „მასწავლებლებს – ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიანიძესა და აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძეს“ მიუძღვნეს.

ზაზა აბაშიძის თქმით, „საქართველო და ქართველების“ იდეა გია ჯოხთაბერიძეს ეკუთვნის. მისი სურვილი და ამოცანა იყო, რომ ნაშრომი ყოფილიყო ისეთი, რომელსაც – წაიკითხავდა და გაიგებდა ყველა – 12-13 ღრმა სიბერემდე. ასეც მოხდა. ზაზა აბაშიძემ, ისევე, როგორც ოთარ ჯანელიძემ და მიხეილ ბახტაძემ დიდი მადლობა გადაუხადეს ბატონ გიასა და კომპანია „მაგთიკომს“ წიგნის იდეისა და გამოცემისთვის.

**ზაზა აბაშიძე:** „წიგნის შექმნის იდეა გაჩნდა წელიწადნახევრის, 2 წლის წინ, როდესაც ბატონმა გია ჯოხთაბერიძემ ასეთი წიგნის შექმნა შემომთავაზა. მე უნდა ვყოფილიყავი საქართველოს ისტორიის შესახებ წიგნის ერთი ავტორი, უძველესი დროიდან, პრაქტიკულად, დღემდე, რაზეც უარი ვთქვი. მე არა ვარ ყველა პერიოდის სპეციალისტი და საჭიროდ ჩავთვალე, რომ ჩემთან ერთად კიდევ ორი თანაავტორი ყოფილიყო.

ბატონ გიას უნდოდა, რომ ჩემი სატელევიზიო გადაცემები, „ისტორიანნი“, რომელიც 2 წლის განამვლობაში გადიოდა, გადმოსულიყო ეკრანიდან ფურცელზე. სამწუხაროდ, სულ რამდენიმე გადაცემის ჩანაწერი მქონდა და მართალია, ისინი გამოვიყენე, მაგრამ შემდეგ მოგვიხდა მთელი მასალის თავიდან გადამუშავება.

ბატონმა გიამ 300-350-გვერდიანი ნაშრომის დაწერა შემოგვთავაზა, ჩვენ კი 675-ში ძლივს ჩავეტიეთ.

***– როგორ დაახასიათებთ წიგნს – ვისთვისაა ის განკუთვნილი?***

**ზ.ა.:** ეს არაა სახელმძღვანელო, არც სამეცნიერო ნაშრომის პრეტენზია აქვს. შეიძლება „სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა“ ვუწოდოთ, რისი მაგალითები ქართულ ისტორიული ხასიათის გამოცემებში იშვიათია. „საქართველო და ქართველები“ – საკითხავი წიგნია, ეყრდნობა მკვლევართა მეცნიერულ ნააზრევსა და დასკვნებს. ამავე დროს, სხვადასხვა ფაქტსა თუ მოვლენაზე სხვა ისტორიკოსებისგან განსხვავებულ თვალსაზრისსაც გამოვთქვამთ, თუმცა არანაირ ახალ აღმოჩენებს არ ვაკეთებთ. ყველაფერი ნაცნობია და დადგენილია. ყველა გამოკვლევა, ყველა ნაშრომი, რაც საქართველოს ისტორიას ეხება, შესწავლილი, დამუშავებული, შეჯერებული და გამოყენებული გვაქვს“.





ნაშრომის კონსულტანტები არიან – პროფესორები – ნანა ხაზარაძე და კიაზო ფიცხელაური; რეცენზენტები – პროფესორები – გონელი არახამია, ელდარ ბუბულაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი.

ზაზა აბაშიძემ, სიტყვით გამოსვლის დროსაც, აღნიშნა და რედაქტორის წინათქმაშიც ასახელებს ყველა იმ ადამიანს, რომელთა ნაშრომებზე დაყრდნობითაც შეიქმნა „საქართველო და ქართველები“. ესენია მეცნიერები, რომლებიც საქართველოს ისტორიას იკვლევდნენ – ქართველები თუ უცხოელები – XIX საუკუნიდან დღემდე და ქართული საისტორიო ქრონიკა-მატიანეების ნაცნობი თუ უცნობი ავტორები, რომელთა ჩამონათვალი წიგნის ერთ გვერდზეა წარმოდგენილი.

წიგნის დიზაინი და მხატვრულ-იდეური გაფორმება, ახალგაზრდა მხატვარ ეკა ტაბლიაშვილს ეკუთვნის. ორფეროვან – მუქ შინდისფერ და შავ ყდაზე აღბეჭდილია ქართველ მეფეთა ხელრთვები და ნიშნები. იგივე გამოსახულება ამკობს ამა თუ იმ ეპოქისა თუ ხელმწიფის მეფობის ხანისადმი მიძღვნილ თავს.

„საქართველო და ქართველები“ 23 თავისგან შედგება, რომლებიც, თავის მხრივ, ქვეთავებადაა დაყოფილი და მოიცავს საქართველოს მთელ ისტორიას – პრეისტორიიული ხანიდან პირველ სახელმწიფოებამდე და მთავრდება XX საუკუნით – უახლესი ისტორიით – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ჩათვლით.

ეს ისტორია ავტორებს ეპოქების მიხედვით აქვთ დაყოფილ-დანაწილებული და მოკლე დახასიათებით, ასე გამოიყურება – პირველ მონაკვეთი, რომელიც მიხეილ ბახტაძემ დაწერა – ისტორიის დასაწყისი ვიდრე აღმაშენებლის ეპოქამდე; აღმაშენებლიდან – საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე – ზაზა აბაშიძის ავტორობითა და საქართველის რუსეთთან შეერთებიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ჩათვლით – ავტორი – ოთარ ჯანელიძე.

***– საქართველოს ისტორიის რომელი ნაწილი დაწერეთ თქვენ?***

**ოთარ ჯანელიძე:** „საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია ანუ მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე – ფაქტობრივად, ესაა საქართველოს რუსეთის ორბიტაში ყოფნის ისტორია.

ეს ისტორია ათწლეულების განმავლობაში, განსაკუთრებით, საბჭოთა პერიოდში გაყალბდა და ამიტომ, მისი გამართვა ახლებურად მართლა ძალიან რთული იყო, რაც მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდში მოხერხდა. მაგრამ მე ამჯერად მუშაობა არ გამძნელებია, რადგან უკვე მქონდა დაწერილი სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის და სასკოლო წიგნი. ახლა უბრალოდ დამჭირდა გადამუშავება, რომ უფრო პოპულარული ენით, ფართო მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელად გადმომეცა ეს მასალა.

***– რა მასალებს დაეყრდენით?***

**ო.ჯ.:** XIX საუკუნის საქართველოს ისტორიას სწავლობდნენ ნიკო ბერძენიშვილი, აკაკი სურგულაძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ოღონდ, ისინი ვერ გასცდებოდნენ იმ ფარგლებს, იმ ჩარჩოებს, იმ, ასე ვთქვათ, იდეოლოგიურ წნეხს, რომელშიც მოღვაწეობა უხდებოდათ. როდესაც მე ვმუშაობდი, ბევრი ფაქტი დადგენილი იყო, უბრალოდ სხვანაირად გააზრება სჭირდებოდა. ცხადია, ახალი ფაქტებიც მოძიებულია, გამრავალფეროვნებულია წყაროთმცოდნეობითი ბაზა, მაგრამ განსაკუთრებული სირთულე იყო XX საუკუნის, კიდევ უფრო მეტად 1918-1921 წლების, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორია. ის ხომ ჩვენ, ფაქტობრივად, არ ვიცოდით, ამოღებული იყო ჩვენი წიგნებიდან. ჩვენს წიგნში კი თითქმის მთლიანობაშია წარმოჩენილი და მკითხველს საშუალება აქვს აღიქვას, რა როგორ ხდებოდა, როგორ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, რატომ ვერ შევძელით დიდხანს შეგვენარჩუნებინა და ა.შ. და შემდგომ, საბჭოთა სინამდვილე, თავისი ავ-კარგით.

***– როდემდე გრძელდება ეს ისტორია, XX საუკუნის ბოლომდე?***

**ო.ჯ.:** მთავრდება კომუნისტური რეჟიმის შეცვლით და ახალი, ეროვნული ხელისუფლების მოსვლით სახელმწიფოს სათავეში“.



„საქართველო და ქართველები“ ისეთი წიგნია, რომელიც კითხვაში არაერთ ღამეს მართლა გაგათენებინებს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია პირველად გაერთიანდა ერთ წიგნად, პირველად მოექცა ერთ „სივრცეში“ და ყოველგვარი შელამაზების, რაიმეს მიჩქმალვისა თუ დაფარვის გარეშე ვრცელ პანორამა გაიშალა.

**ლელა ვაჩნაძე**

# სააკაშვილი არჩევნებამდე ახალ პროვოკაციებს მოაწყობს

თამარ ნინიძე



**საინფორმაციო პორტალ „პლანეტა გე"-ს ხელმძღვანელი სოფიო ხორგუანი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის შეცვლას იმდენად ვილნიუსის სამიტზე სააკაშვილის დასწრებას არ უკავშირებს, რამდენადაც ნაციონალური მოძრაობის სხვა ფარულ ზრახვებს. „ახალი თაობა" სოფიო ხორგუანს ესაუბრა.**

*— თქვენ რას უკავშირებთ სააკაშვილის მიერ არჩევნების თარიღის შეცვლას?*

— მთავარი ის კი არ არის, რომ ვილნიუსის სამიტზე სურს დასწრება, არამედ, ჩემი აზრით, მთავარი ის არის, რომ მან არჩევნების თარიღი ოთხი თვით ადრე დანიშნა. მას შეეძლო არა უგვიანეს სამოცი დღით ადრე დაენიშნა ეს თარიღი. ვინაიდან ოთხი თვით ადრე ჩაირთო წინასაარჩევნო კამპანიის პროცესი, აგიტაცია, სხვა რეჟიმზე გადავიდა მთელი პოლიტიკური სპექტრი. ძალიან ფრთხილად უნდა იყოს ხელისუფლება იმიტომ, რომ ყველა ნაბიჯი, ყველა ქმედება რომელიც იქნება გადადგმული „ქართული ოცნების" მხარდასაჭერად, აღქმული იქნება, როგორც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. ჩვენ ვიცით, იმისათვის, რომ არჩევნები დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებულად ჩაითვალოს, არჩევნების დღე მნიშვნელოვანია, ასევე მთელი წინასაარჩევნო კამპანიაც. ნაციონალებზე ვერავინ იტყვის, რომ ისინი იყენებენ ადმინისტრაციულ რესურსს იმიტომ, რომ დღეს ოპოზიციაში არიან. სააკაშვილს და მის გუნდს კვლავ სურს, მოქმედი ხელისუფლება ამყოფოს თავის მართლების რეჟიმში. მე ვხედავ იმის საფრთხეს, რომ „ქართული ოცნების" კანდიდატს არ მოუწიოს თავის მართლება იმასთან დაკავშირებით, რომ ის არ იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. სიახლეს არ წარმოადგენს ის, რომ სააკაშვილი ეცდებოდა მაქსიმალურად გაეჭიმა დრო, აქ მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ იმოქმედოს ძალიან ფრთხილად და გააზრებულად.

*— როგორ არის საარჩევნო კოდექსში, წინასაარჩევნო რეჟიმის დროს როგორ უნდა გააგრძელოს ფუნქციების შესრულება მინისტრთა კაბინეტმა?*

— ზღვარი მყიფეა, მინისტრი, რომელიც კენჭს იყრის, ცხადია, უნდა გადადგეს პოსტიდან, რაიმე შეხვედრაზე თუ მივა მარგველაშვილი და იქ იქნება რომელიმე მინისტრი, თუ ამ მინისტრის ავტომობილით ისარგებლებს მარგველაშვილი, მას ამას ჩაუთვლიან, როგორც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად. ყველა კანდიდატი თანაბარი საარჩევნო უფლებით სარგებლობს. ნაციონალები შეეცდებიან, რომ მათი კანდიდატი გავიდეს მეორე ადგილზე, ჩვენ ვიცით, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში, რეგიონებში ჯერ კიდევ მძლავრად არიან ნაცმოძრაობის წარმომადგენლები. ისინი შეეცდებიან, რომ პრობლემები შექმნან რეგიონებში. არ გამოვრიცხავ პროვოკაციებს.

*— თინა ხიდაშელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ვილნიუსის სამიტზე სააკაშვილი კვლავ ეცდება მოქმედი ხელისუფლების გაკრიტიკებას, როგორც ამას სხვა ვიზიტების დროს ახერხებდა.*

— დიახ, არ არის გამორიცხული, არჩევნები არის წინასაარჩევნო კამპანია, არჩევნების დღე და შემდგომი პერიოდი. რაში შეიძლება დაადანაშაულოს სააკაშვილმა ხელისუფლება, ის გამოიყენებს ამ ოთხთვიან პერიოდს და ნებისმიერ ვითარებას, რომ პროვოკაციაზე წამოაგოს და დაადანაშაულოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში. მან უნდა ისაუბროს, როგორც პრეზიდენტმა, ვილნიუსის სამიტზე და იტყვის, რომ პრობლემებია ქვეყანაში. დასავლური კურსის ცვლილებაზე ვერ ისაუბრებს იმიტომ, რომ ეს აბსურდია, დაკავებებს რაც შეეხება, აქ ეს მცდელობა ექნება, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია პროკურატურაზე, როგორ იმუშავებს ის, მთავარი აქცენტი იქნება იმაზე, რომ მარგველაშვილი ჩააყენონ უხერხულ მდგომარეობაში, თითქოს ის იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. ნაცვლად იმისა, რომ კანდიდატი საპრეზიდენტო პროგრამაზე საუბრობდეს, ვშიშობ, მარგველაშვილს არ მოუხდეს თავის მართლების რეჟიმში ყოფნა, რომ ის არ იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს.

*— საკრებულოს სკანდალზე მინდა გკითხოთ, კოკი იონათამიშვილმა წერილში, თუ ეს სინამდვილეს შეესაბამება, სააკაშვილს სთხოვა ბიზნესმენებთან შუამდგომლობა მისი ბიზნესის გაყიდვის თაობაზე. რას იტყოდით ამ სკანდალზე?*

— მანდ იყო ერთი საინტერესო პასაჟი, ჯერ მინდა ვთქვა, რომ უხერხული თემაა პირადი მიმოწერის გამოქვეყნება, მაგრამ ნაციონალებისგან ეს უკვე არ მიკვირს. იმ პასაჟზე მინდა ყურადღება გავამახვილო, სადაც წერს, რომ გიგი უგულავამაც იცის ჩემი პრობლემების შესახებ და არაერთხელ დამეხმარაო. საინტერესოა, რა ტიპის დახმარებაზე იყო საუბარი, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე თუ ფინანსურ დახმარებაზეა საუბარი, ეს უკვე კორუფციის ნიშნებს შეიცავს, თორემ მორალზე მე უკვე არაფერს ვამბობ. საკრებულო მერიას აკონტროლებს და ამ დროს მერი საკრებულოს წევრს ეხმარება სხვადასხვა საშუალებით.

*— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსყიდვაშია საქმე?*

— დააკვირდით ამ პასაჟს, ეს სწორედ ამას გულისხმობს. პარლამენტის დეპუტატი რომ სთხოვდეს დახმარებას პრემიერს და მინისტრებს, ეს კორუფცია არ იქნება? პირად პრობლემებს უგვარებდეს? პირველი განცდა საზოგადოებას ექნებოდა, რომ სააკაშვილი უნამუსოა, რომ მისთვის არ არსებობს არც ღირსება და არც პირადი ურთიერთობები, მაგრამ კანონზე თუ ვსაუბრობთ, საკრებულოს წევრი სთხოვს დახმარებას მერს, მერიც მას ეხმარება.

*— თუ დადასტურდა, რომ ეს წერილი მართლა ამ შინაარსის არის, ამით სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდნენ და იონათამიშვილი დაკითხვაზე დაიბარონ?*

— უეჭველად, ასე უნდა მოხდეს, ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ რაღაც ტიპის კორუფციული ურთიერთობა ჩანს, რა თქმა უნდა, პროკურატურა უნდა დაინტერესდეს რა ტიპის პრობლემებს უგვარებდა უგულავა იონათამიშვილს. ფულზეა საუბარი და არა იმაზე, რომ იონათამიშვილი ცუდ ხასიათზე იყო და სურდა მისთვის მოესმინათ.

როცა ვაანალიზებ ამ საფრთხეებს, ამიტომ ვამბობ, რომ ნაცმოძრაობა შეეცდება პროპაგანდის ნაცადი ხერხით თავის მართლების რეჟიმში ამყოფოს ხელისუფლებაში მყოფი კოალიცია.

*— მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით თბილისის საკრებულოში?*

— ნაცმოძრაობას უკვე აღარ აქვს უმრავლესობა, ჩვენ ხომ ვიცით, წინასაარჩევნოდ ნაცმოძრაობა როგორ აგროვებდა თავის მხარდამჭერებს, ამიტომ ლოგიკურია რომ მათ რიგებში ადამიანები პოზიციებს იცვლიან. იდეური თანხვედრა არ ექნებოდათ. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულომ შეასრულოს თავისი მთავარი ფუნქცია, აკონტროლოს მერია და მისი სამსახურების ქმედებები. ამის საშუალება დღეს გაცილებით მეტია. მონობას მიჩვეული მოსამართლე ყოველთვის შეეცდება ახალი ბატონის მონა გახდეს, ასე იქნება საკრებულოს ის წევრი, რომელიც მონაა თავისი მრწამსით. საბედნიეროდ პრემიერის მხრიდან ვერ ვხედავ იმის სურვილს, რომ მონები ეძებოს ნაცმოძრაობის რიგებში და თავის გუნდში. რეგიონებში მძიმე ვითარებაა, ახალი ხელისუფლების მიერ დანიშნული პირების დაკავება ხდება. ფრთხილად უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში.

# ქეთევან ციხელაშვილი ნაციონალებისგან საზოგადოების დეზინფორმირების შეწყვეტას მოითხოვს



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან" საზოგადოების დეზინფორმირების შეწყვეტას მოითხოვს. ასე გამოეხმაურა ქეთევან ციხელაშვილი „ნაციონალური მოძრაობის" მიერ 2 ივლისს გაკეთებულ განცხადებას, თითქოს, ხელისუფლებამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაცემული ე.წ. პასპორტების ვალიდურობა აღიარა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და მისი ცალკეული წევრების მიერ გრძელდება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, სრულიდ უპასუხისმგებლო დეზინფორმირების კამპანია. უკვე, რამდენიმე დღეა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მიზანმიმართულად ავრცელებენ არასწორ ინფორმაციას ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაცემული ე.წ. პასპორტების ვალიდურობის აღიარების შესახებ. „ნაციონალურმა მოძრაობამ" ამ არარსებული „ფაქტის" გამო „უკიდურესი შეშფოთებაც" გამოხატა. მათი ამ კამპანიის მიზანი საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და ხელისუფლების წინააღმდეგ ცილისმწამებლური და გამოგონილი ბრალდებების წაყენებაა. რეალურად, საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას არანაირი ნორმატიული აქტი და გადაწყვეტილება არ მიუღია ზემოაღნიშნული ე.წ. პასპორტების ვალიდურობის ცნობის შესახებ. ამის თაობაზე სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა მკაფიო განმარტება უკვე გააკეთა, თუმცა, ამის მიუხედავად, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ცრუ ინფორმაციის გავრცელების კამპანიას მაინც აგრძელებენ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მის მიერვე უსაფუძვლოდ დაბრალებული ნაბიჯის გადადგმას „არაღიარების პოლიტიკისთვის ზურგიდან დარტყმის ტოლფასად" აფასებს. მსურს, შევახსენო ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლებს, რომ თუ ამ დოკუმენტების ვალიდურობის ცნობა არაღიარების პოლიტიკისთვის ზურგში დარტყმას ნიშნავს, ამგვარი ნაბიჯი თავად მათ გადაუდგამთ ხელისუფლებაში ყოფნის დროს. კერძოდ, წინა მთავრობის მიერ მიღებულია კანონები, ბრძანებები და დადგენილებები, რომელთა თანახმადაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო ორგანოების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს შიგნით გამოყენება გახდა შესაძლებელი, მათ შორის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემისა და „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევისთვის" — აცხადებს ციხელაშვილი.

ნიუსპრესი

# საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები 27 ოქტომბერს გაიმართება

გუშინ, პრეზიდენტის ფეისბუკის გვერდზე გამოქვეყნდა, რომ სააკაშვილმა არჩევნების თარიღი კვლავ შეცვალა.



ქვეყნის პირველი პირის ინიციატივით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. არჩევნების თარიღთან დაკავშირებით, ანდრო ბარნოვმა მათი მოსაზრება და დასაბუთებული არგუმენტები მოისმინა. შეხვედრის დეტალები ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა საქართველოს პრეზიდენტს გააცნო, რომელმაც გაიზიარა საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შემოთავაზება და თხოვნა და არჩევნების დღედ 2013 წლის 27 ოქტომბერი გამოცხადდა. მისი თქმით, ეს ოფიციალურადაც მალე გაფორმდება. აღნიშნული გადაწყვეტილება ანდრო ბარნოვმა მედიასაშუალებებს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად გააცნო.

# განათლების სამინისტრო ახალი პროგრამის განხორციელებას იწყებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი, გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ახალ პროექტს იწყებს.

პროექტის სახელწოდებაა — „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალურად დაუცველი, ქცევითი პრობლემების მქონე და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისთვის საქართველოში" და ის, განათლების საჯარო სექტორისთვის, განათლების ეროვნული მოდელის შექმნას ისახავს მიზნად. ამ მიზნით, იგეგმება— სოციალურად დაუცველი, ქცევითი პრობლემების მქონე და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების შესახებ, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა, სამიზნე ჯგუფების ბავშვების იდენტიფიცირება საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით, საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შედგენა თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის და ეროვნული მოდელის სადისკუსიო დოკუმენტის შექმნა.

პროგრამა, სოციალურად დაუცველი, ქცევითი პრობლემების მქონე და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების ფორმალურ განათლებაში ჩართვის სისტემურ მიდგომას შეწყობს ხელს და საზოგადოებაში მათი ეფექტიანი ინტეგრაციისთვის, სოციალურ და საგანმანათლებლო პოლიტიკას ჩამოაყალიბებს.

ახალი პროგრამა, გუშინ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს წარუდგინა.

ნიუსპრესი

# საპატიმროებში სასჯელს 9363 ბრალდებული იხდის

მიმდინარე წლის 2 ივლისის მდგომარეობით, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, სულ 9363 ბრალდებული და მსჯავრდებული იყო განთავსებული, რაც 2012 წლის 2 ივლისის მაჩვენებელთან (23 392) შედარებით 14 029 (59.97%-ით) ერთეულით ნაკლებია.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, 2 ივლისს, „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან 1 ბრალდებული გათავისუფლდა.

მთლიანად კი, 2013 წლის 2 ივლისის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები სულ 8708 ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა.

გათავისუფლებულთა შორის 175 — პოლიტპატიმარია, 433 — მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 25 — არასრულწლოვანი

ნიუსპრესი

# ქალთა კოლონიაში მოშიმშილე 100-მდე პატიმარმა შიმშილობის აქცია შეწყვიტა



ქალთა კოლონიაში მოშიმშილე 100-მდე პატიმარმა ქალმა შიმშილობის აქცია შეწყვიტა. ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ სასჯელაღსრულების ქალთა მე-5 დაწესებულების მოშიმშილე პატიმრებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„ქალბატონებმა საპროტესტო აქცია შეწყვიტეს. მათი პროტესტის მიზეზი ის იყო, რომ ამნისტიის შედეგად მხოლოდ მცირედი შეღავათი მიეცათ. ისინი ითხოვენ, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები და მოხდეს მათი დარჩენილი სასჯელის განახევრება. მე მათთან პირობა დავდე, რომ თითოეული ქალი პატიმრის საქმეს ინდივიდუალურად განვიხილავ", — განაცხადა ეკა ბესელიამ.

პირველი



# ცესკო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სრულ მზადყოფნაშია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის განცხადებით, ცსკ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სრულ მზადყოფნაშია.

ამის შესახებ ხარატიშვილმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„მე მინდა, საარჩევნო ადმინისტრაციის სახელით გავაკეთო განცხადება, რომ არჩევნების გამოცხადებასთან დაკავშირებით ჩვენ სრულ მზადყოფნაში ვართ. მზად ვართ, არჩევნების კარგად ჩასატარებლად, ისევე, როგორც ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. მე მინდა, ვთხოვო საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მონაწილეს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მაქსიმალურად შეიკავონ თავი ისეთი ქმედებებისგან, რომელიც ხელს შეუშლის საარჩევნო გარემოს მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარებას", — განაცხადა ხარატიშვილმა.

პირველი

# რა პრობლემები აქვთ სტუდენტებს

შორენა გონგლაძე

– ჩვენ ბევრი გავაკეთეთ და მომავალი მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება, – ასე აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაცია „სოცკოდექსის“ წევრები ორგანიზაციის მუშაობას. ორგანიზაციის წევრის, ლევან თოდაძის განცხადებით, ორგანიზაციამ თავისი არსებობის მანძილზე ბევრი საინტერესო პროექტი განახორციელა. განვლილი პერიოდი, ვფიქრობ, პროდუქტიული იყო. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ სტუდენტები ვართ და პროფესიონალიზმამდე დიდი შრომაა გასაწევი. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი ასაკი სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობისას ზოგიერთმა მოხელემ არაკორექტულად შეგვახსენა. მიუხედავად წინაალმდეგობებისა, ჩვენ აუცილებლად განვახორციელებთ დასახულ გეგმებს, როგორი რთული ბარიერებიც უნდა დაგვხვდეს გზაზე. განვლილ პერიოდში განვახორციელეთ რამდენიმე პროექტი, კერძოდ, ჩავატარეთ აქცია-კონცერტი ნარკომანიის თემაზე, რომლის ორგანიზებაში დაგვეხმარა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, თბილისის მერია, თსუ, ტექნიკური უნივერსიტეტი, საპატრიარქოს უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი სერგო ვარდოსანიძე და საპატრიარქოს ტელევიზია და საზოგადოებრივი მაუწყებელი. ღონისძიება მასშტაბური იყო თავისი არსით, ახალგაზრდობის დიდი ინტერესი გამოიწვია, არ იყო სტანდარტული, რამაც, ალბათ, განაპირობა აქციის წარმატება, – აცხადებს ლევან თოდაძე.

ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის გიორგი ბერკაცაშვილის თქმით, ორი თვეა ებერტის ფონდის მხარდაჭერით ახორციელებენ პროექტს სახელწოდებით „სტუდენტური დაზღვევის მონიტორინგი“, რომლის ფარგლებში გამოიკითხა 500-მდე სტუდენტი დაზღვევის პრობლემებთან დაკავშირებით. პროექტმა მოიცვა თბილისში არსებული რამდენიმე უნივერსიტეტი, ჩატარდა კვლევა და გაკეთდა ანალიზი, რომლის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ აქამდე არსებული სტუდენტური დაზღვევის საქმეში გამოკვეთილია სამი ძირითადი პრობლემა: დაზღვევის ადმინისტრირება, მედიკამენტების ხარისხი, ფასი და მომსახურების ხარისხი. თოდაძე იმედოვნებს, რომ ახალი სადაზღვევო პროგრამა უფრო ეფექტურად იმუშავებს სტუდენტებისთვის, თუმცა ახალ პროგრამაშიც არაფერია გათვალისწინებული მედიკამენტების ფასსა და ხარისხთან დაკავშირებით.

გიორგი ბარამიძის განცხადებით, მუშაობის პროცესში ბევრი პრობლემური საკითხი გამოიკვეთა. – სტუდენტურ დაზღვევაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ახალი პრობლემა, რომელსაც საქართველოში პრაქტიკულად არ ექცევა ყურადღება. კერძოდ, მოქმედი სპორტსმენების დაზღვევა. მოქმედი სპორტსმენები, ძირითადად, ახალგაზრდები არიან. ამიტომაც ჩვენი კვლევის ფარგლებში ეს პრობლემა ბუნებრივად გამოიკვეთა. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ სქემა, რომელიც ხელს შეუწყობს საკითხის მოგვარებას. სავსებით შესაძლებელია სახელმწიფო დაზღვევის პროგრამას ზედნაშენად დაემატოს დაინტერესებულ სახელმწიფო სტრუქტურასთან, სპორტის სამინისტროსთან ერთად ჩვენ მიერ შემუშავებული ეფექტური სქემა, რომელიც გულისხმობს: ტენდერის მეშვეობით გამოვლინდეს კლინიკა, რომელიც სპორტსმენებს გაუწევს ამბულატორიულ, სტაციონარულ და სარეაბილიტაციო მომსახურებას. ტენდერის პირობების გათვალისწინებით, სახელმწიფო უნაზღაურებს კლინიკას ადმინისტრაციულ ხარჯებს, – აცხადებს ბარამიძე.

ორგანიზაციის წევრები ასევე საუბრობენ იმ პრობლემებზე, რაც რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს ხვდებათ, და დახმარებას სთხოვენ კომპეტენტურ სამინისტროებს.

– პროექტ „XXI“-ს ფარგლებში ვახორციელებთ სტუდენტთა დასაქმების კვლევას და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით კერძო სექტორში დასაქმებაში, რადგან სტუდენტთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით, რეგიონებიდან ჩამოსულები, ვერ ახერხებენ სწავლისა და ბინის გადასახადის, კვებისა და ელემენტარული საარსებო მინიმუმით საკუთარი თავის უზრუნველყოფას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მივმართეთ წინადადებით, უმაღლეს სასწავლებლებში განხორციელდეს საარსებოდ აუცილებელი, მინიმალური, მაგრამ ჯანმრთელი საკვებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც, ჩვენი აზრით, გაამართლებს სახელმწიფოს მიერ სტუდენტთა სწავლის ანაზღაურებისთვის გრანტის სახით გახარჯულ თანხებს, რადგან მშიერ სტუდენტს არ აქვს უნარი, შეიძინოს ახალი ცოდნა და ჩამოყალიბდეს კონკურენტუნარიან პროფესიონალად, – ამბობს ტატო მიროტაძე.

ელგუჯა ტაბატაძე:

– ძველი ხელისუფლების პირობებში გვხვდებოდა იერარქიული და ჩინოვნიკური ტიპის წინააღმდეგობები, ამას ემატებოდა გულგრილობა, რაც ძალიან გვიშლიდა ხელს ჩვენი პროექტების განხორციელებაში. ახლა მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია, თუმცა ზედაპირულობა და არაპროფესიონალიზმი არც ახლაა უცხო. საწყენია, როდესაც გულწრფელი საქმიანობის სურვილს ზოგჯერ იგივე მანკიერი წრე უპირისპირდება. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მალე აღიქვამენ, როგორც სახელმწიფოს სამსახურში მდგომ სუბიექტებს და არა ოპონენტებს. ჩვენ ახალგაზრდების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ვემსახურებით უანგაროდ და არავითარი ქვენა გრძნობები არ გვამოძრავებს.

# ადვოკატი თამილა ქუთათელაძე 5 მილიონს ითხოვს

შორენა გონგლაძე

**ადვოკატი თამილა ქუთათელაძე უკანონო პატიმრობის გამო სახელმწიფოსგან მორალური და მატერიალური ზიანის ხუთი მილიონი ლარით ანაზღაურებას ითხოვს.**

თამილა ქუთათელაძემ, რომელიც 1,7 წლის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა.

ქუთათელაძე 2011 წლის 5 ივლისს ფინანსური პოლიციის მიერ დაკავებული იქნა თაღლითობის ბრალდებით. თამილა ქუთათელაძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ თავისუფლების 9 წლით აღკვეთა მიუსაჯა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, თამილა ქუთათელაძემ დაიცვა ადვოკატის ღირსება და დაიწყო ბრძოლა თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. აღნიშნულის გამო, იგი გახდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. თამილა ქუთათელაძემ საპატიმრო დაწესებულებაში ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა კომიტეტი“, რომელიც საპატიმრო დაწესებულებაში გამეფებულ უკანონობებს ამხელდა. მან თავისი ბრძოლით მიაღწია თავის უდანაშაულობის დამტკიცებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოში პროკურატურამ თამილა ქუთათელაძის გამართლება მოითხოვა და მის მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი. თამილა ქუთათელაძე გახდა ერთადერთი ადვოკატი, რომელმაც თავისი ბრძოლით გამამართლებელ განაჩენს მიაღწია. ამ ქალბატონს მისჯილი ჰქონდა ცხრა წელი, ამ ადამიანმა ადვოკატის ღირსება და სახელი არ გაცვალა პროკურორების შეთავაზებაზე, რომ სხვადასხვა ბინძურ გარიგებებში მიეღო მონაწილეობა. ერთი წლისა და შვიდი თვის მანძილზე იყო უკანონო პატიმრობაში. მინდა აღვნიშნო, რომ ამ ადამიანის საქმე მისი ადვოკატების დიდი მუშაობის და მონდომების შედეგად დამთავრდა გამამართლებელი განაჩენით, ეს არის პირველი პრეცედენტი და ყველა ადვოკატისთვის უნდა იყოს ეს ადამიანი მაგალითი. ამ ქალბატონმა, ფაშისტური რეჟიმის პირობებში, ციხეში ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა კომიტეტი და იქიდან იბრძოდა იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილის მმართველობის პირობებში. მის საქმეს განიხილავს ევროპის სასამართლო, ასევე ქალბატონი თამილა ქუთათელაძე და მისი ადვოკატები მიმართავენ ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს და უნდა შეიქმნას პრეცედენტი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა გადაიხადოს მილიონები ადამიანის უკანონო პატიმრობის გამო, რომ ბოლოს და ბოლოს ამ ქვეყანაში დაფიქრდნენ, უღირთ თუ არა ადამიანების დევნა და ის უკანონობები, რასაც წლების მანძილზე ჰქონდა ამ ქვეყანაში ადგილი, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა. მისივე განცხადებით, ადვოკატთა ასოციაცია იწყებს ბრძოლას თამუნა ქუთათელაძის ინტერესების დასაცავად, ვინაიდან შემდგომში ადვოკატის




დევნა ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გაბედოს.

**თამუნა ქუთათელაძე:**

– ჩემი ბრალდება კერძო ინტერესებიდან გამომდინარეობდა, ეს იყო პროკურორ დავით გაგნიძის უშუალო დევნა ჩემ მიმართ. პირველად ბრალი წარმიდგინეს გამოძიებაზე ხელის შეშლის გამო, ვითომდა მე გამოძიებას ვუშლიდი ხელს, მაგრამ ფორმულირება იყო მეტად საინტერესო, რომ თურმე მორალური ზიანი მიადგა ჩემი ქმედებით გამომძიებელს და წყევლის გულისთვის მასამართლებდნენ. გაგნიძემ შემდეგ ჩემზე ათანამშრომლა ერთი პოლკოვნიკი და კიდევ ვიღაც მოქალაქე, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდი, რომელიც დარბაზიდან გაუშვეს და მე ცხრაწლიანი პატიმრობით გამიშვეს ციხეში. დღეს მე ვითხოვ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას სახელმწიფოსგან, ვინაიდან მე ვიყავი უკანონო პატიმარი და უნდა შეიქმნას ამით ქვეყანაში იმისი პრეცედენტი, რომ თუ უკანონოდ დააზარალებს სახელმწიფო ადამიანს, მან კიდეც უნდა აანაზღაუროს ეს ზიანი.

**მალხაზ ჯანგირაშვილი:**

– სამწუხაროდ, ამ ადამიანის საქმე წარმოადგენს ერთადერთ პრეცედენტს, როდესაც 157 პასუხისგებაში მიცემული ადვოკატიდან სახეზე გვაქვს ერთადერთი გამამართლებელი განაჩენი. ასევე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ მისი გამართლება ისეთ პირობებში, როგორიც იყო ქვეყანაში, არის ადვოკატთა საერთო ძალისხმევის დამსახურება, ამ საქმეზე ბატონი ზაზა ხატიაშვილის ჩათვლით მუშაობდა ადვოკატების საკმაოდ დიდი ჯგუფი და ეს გამარჯვება არის ადვოკატთა ასოციაციის საერთო მონაპოვარი. ჩვენ მივმართავთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც მიადგა თამუნა ქუთათელაძეს და მიმაჩნია, რომ საქართველოში უნდა შეიქმნეს პრეცედენტი იმისა, რომ სახელმწიფომ პასუხი აგოს იმისათვის და აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, რისთვისაც ეს ადამიანი უკანონოდ იმყოფებოდა ციხეში წელიწადი და შვიდი თვის განმავლობაში. რა თქმა უნდა, ადამიანისათვის ის ზიანი, რომელიც ციხეში ყოფნის მანძილზე მიადგა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამის კომპენსირება აუცილებლად უნდა მოხდეს. ის ადამიანები, რომლებმაც მის მიმართ შეთითხნეს ბრალდება, ის ე.წ. მოსამართლე, რომელმაც მას ცხრა წელი მიუსაჯა, ის პროკურორიც ასევე ისევ მოქმედი პროკურორია, ანუ სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და აანაზღაუროს ის ზიანი, რაც მას მიადგა უკანონო პატიმრობით.

***– რამდენად რეალურია ის თანხა, ხუთი მილიონი რასაც ითხოვთ სახელმწიფოსგან?***

– ხუთი მილიონი, მე ვფიქრობ, რომ რეალური ციფრია, ჩვენ რომ უფრო დალაგებულ სახელმწიფოში ვცხოვრობდეთ, ზიანის მოთხოვნა გაცილებით მეტი იქნებოდა.

# ნეპოტიზმი და ადმინისტრაციული კრიზისი ქუთაისში

როლანდ ხოჯანაშვილი

**„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო**



გამოუსწორებელი ოპტიმიზმი ხასიათში ისე ჩაგვეჭედა, რომ მას ჩვენთვის სასიცოცხლო დანიშნულება აქვს. მართლა წარმოუდგენელია, როგორ გაუძლო საქართველომ ამ ბოლო ათწლეულებს. მხოლოდ ეკონომიკური გასაჭირი არ არის მხედველობაში მისაღები: თითქმის ყველაფერი დეფიციტური იყო, რაც სჭირდება სახელმწიფოებრიობას.

პრობლემების მოგვარება 9 თვეში შეუძლებელი იქნებოდა, ეს ყველა პრაგმატულმა ადამიანმა იცოდა, თუმცა პოლიტიკური ნება საჭიროა მტკივნეული საკითხების მოსაგვარებლად. საკანონმდებლო ბაზის შეცვლიდან მოყოლებული ნებისმიერი საკითხი დღეს პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. თუ მოუნდება მმართველ პოლიტიკურ ძალას სასიკეთოდ რაიმეს შეცვლა, აუცილებლად შეიცვლება კიდევაც. საკადრო პოლიტიკის სისუსტე, რომელიც აშკარად ჩანს ახალი ხელისუფლების პირობებში, სწორედ პოლიტიკურ ნებელობაზეა დამოკიდებული. კომუნისტურ ეპოქაში ნეპოტიზმისა და პროტექციონიზმის შესანიღბავად მიღებული და აპრობირებული მეთოდი იყო ასეთი რამე: ერთი წარმოების (ან სულაც რაიკომის, ქალაქკომის) ხელმძღვანელი მეორეს „უცვლიდა ნათესავებს“. ამდენად ახლა თავს აღარ იწუხებენ (ან ვერ აცნობიერებენ) და აჭარა წალეკა პროტექციამ, იმერეთის მთავარ ქალაქში კი ახალი მერის დანიშვნას მოჰყვა ნეპოტიზმის სწრაფი გამოვლინება. საქართველო ძალიან პატარა სახელმწიფოა, აქ ვინ ვისი ნათესავია, ეს კი არა, ისიც კი იციან, ვისი ყოფილი საყვარელი ვისი საყვარელია ამჟამად. პატარა მუნიციპალიტეტებში შედარებით მორიდებულად იქცევიან და მალალჩინოსნები ჩრდილში აყენებენ საკუთარ სანათესაოს, ხოლო დიდ ქალაქებში დიდი ამბიციით ავანგარდში გადმოჰყავთ ახლობლები.

ქუთაისის მერის არჩევის პროცესი იმდენად ბუტაფორიული იყო, რომ ყველამ იცოდა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია მხოლოდ თვალში ნაცრის ყრას აწარმოებდა და ამერიკაში მოღვაწე კოპალიანს დასვამდნენ მერად. ბავშვობისას ერთი წიგნი წავიკითხე („ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“) და დავრწმუნდი, რომ აშშ მართლა ისეთი სახელმწიფოა, სადაც პერსპექტივა აქვს ყველას. 22 წელი ვიშრომეო, 5 საათი მეძინა დაახლოებით დღე-ღამეში და წარმატებული გავხდიო. ადრეც ვწერდი „ახალი თაობის“ ფურცლებზე, რომ ქუთაისის მერობა ერთობ უპერსპექტივო თანამდებობაა, უფუნქციო ქალაქში ძნელია, რამე გააკეთო, რითაც მოსახლეობის გულს მოიგებ-მეთქი. თვითმმართველობები მოსახლეობის მხრიდან მხოლოდ ხელფასის ამღებ სტრუქტურად აღიქმებიან, რადგან ისინი მართლაც ვერაფერს ქმნიან დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. არც ისე დიდი ხნის წინ ერთ გამგეობაში მოხუცი ქალი გამგებელს ბოლო ხმაზე უკიოდა, სოციალური დახმარება მომეხსნა და სულზე, საიდანაც გინდა, ასი ლარი მაინც უნდა მქონდეს შემოსავალიო (შეგახსენებთ, რომ სოციალური შემწეობა 24-30 ლარია ჯერ კიდევ).

ქუთაისის მერის არჩევას რომ ხმაური მოჰყვებოდა, თავისთავად ცხადი იყო. მერიასა და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში 700-მდე საშტატო ერთეულია, რომლის დასაკავებლად, ბუნებრივია, მეოცნებე კადრები კბილს ილესავდნენ. პირველ ეტაპზე ასზე ნაკლები ადამიანი გაუშვეს სახლში, მათ ნაცვლად მოვიდა ახალი კადრები (რასაც კიდეც მივესალმები, რადგან ძველი კადრები იყვნენ საფუძვლები იმის ნაწილობრივ მაინც, რომ ქუთაისში ცუდი მდგომარეობა იყო). მერე მერიის სიახლოვეს არსებულ ბაღში გათავისუფლებულები აწყობდნენ საპროტესტო აქციებს, რომელსაც ჩემი პოზიციიდან, მხოლოდ სასაცილო ელფერი დასდევდა უფრო, ვიდრე–საპროტესტო. თუ ძველი კადრი იყო ჩართული დანაშაულებრივ საქმიანობაში, მისი მხოლოდ გათავისუფლება არაა ტრაგედია, მაგრამ ამ გათავისუფლებულის ადგილას ვის დანიშნავენ, ესაა საკითხავი.

ქუთაისის საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის ერთი წევრი, გელა მშვენიერაძე, ქუთაისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა (მოვალეობის შემსრულებლობიდან უფროსობამდე ერთი ნაბიჯია). მას ადრეც ეკავა ეს თანამდებობა, ოღონდ პარადოქსია ის, რომ არქიტექტურით გამორჩეული ლადო მესხიშვილის სახელმწიფო თეატრი მარჯანიშვილის სახელობისა ეგონა. მას 2011 წლამდე ეკავა მთავარი არქიტექტორის თანამდებობა და შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს. ბატონი მშვენიერაძე არასამთავრობო სექტორიდან („ჩემი საქართველო“) მოხვდა კომისიაში, შემდეგ კი ადმინისტრაციაში გადასვლის გამო „ენჯეოდან“ გარიცხეს. ახლა ვინმემ რომ დაუსვას კითხვა ბატონ გელას, იტყვის, რომ მას აქვს არქიტექტურაში მუშაობის უნარ-ჩვევები და განათლება, ხოლო საატესტაციო კომისიის წევრობა არაფერ შუაშია! სანაცვლოდ, არ ვიცი, რით შეიძლება იმართლოს თავი ხათუნა ხურციძის მამამ, ბატონმა ზურაბ ხურციძემ (ესეც კომისიის წევრია), რომელმაც „გაუიმასქნა“ შვილს კონტროლის განყოფილების უფროსის თანამდებობა?! ვანო ბუხაიძე, რომელიც ყოფილი „ნაციონალია“, ახლა ახალგაზრდული სამსახურის უფროსია (ჩემი ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე ლამის ოთხნიშნა ციფრით გამოხატული ხელფასია) და მას „ქართული ოცნება“ კარგი თვალით უყურებდაო. თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ მეტი კომპრომატი არ აქვს საატესტაციო კომისიის მუშაობაზე, ეს მხოლოდ იმტომ, რომ ამ კომისიის არცერთი წევრი არ „გააჭაჭანეს“ კომისიაში. თქვენ წარმოიდგინეთ და არც ისეთი რეიტინგული „ენჯეოშნიკები“ არ იყვნენ ქუთაისის საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში, როგორიცაა საია და „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“.

„ნაციონალებს“ სულ საყვედურობდნენ ბიუროკრატიული აპარატის სიდიდეს, მაგრამ არც ახლაა ნაკლები. არის თუ არა შემშლელი „გარდაქმნილი ან გარდაუქმნელი“ „ნაციონალები“ მართლა კოპალიანისთვის, ამაზე ცალსახა პასუხია მზად: თვით პრეზიდენტიც კი თავისი უხვი ვეტოებით უფუნქციო ფიგურაა და ქუთაისში უკანასკნელ პოლიტიკურ ბასტიონზე გამაგრებული „ენმ“-ელები რა პრობლემას ქმნიან გარდა იმისა, რომ „ოცნებელებს“ ადვილად არ უთმობენ თანამდებობებს?!

„პატრიოტმა“ გია თევდორაძემ კოპალიანზე განაცხადა, რომ ის „სივრცესა და დროშია დაკარგული და ამის გამო ის არაადეკვატურია“; „პატრიოტები“ იმპიჩმენტით ემუქრებიან ქუთაისის ამჟამინდელ, მეთერთმეტე მერს, რაზედაც „ნაციონალები“ ამ ეტაპზე თავს იკავებენ.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, გოჩა თევდორაძემ განაცხადა: „მოვუწოდებთ ქალაქის მერს, იყოს კორექტული და თავი დაანებოს ტალახის სროლას. მიიღოს ქმედითი ზომები და მთელი ძალისხმევა მოახმაროს ქალაქის კეთილდღეობას.

# ლევან ანჯაფარიძემ შიმშილობა შეწყვიტა

ეკა ირემაშვილი

**რეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ კულტურის სამინისტროს წინ შიმშილობა შეწყვიტა. მისი შიმშილობის შეწყვეტის მიზეზი კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, მცხეთა თბილისის, მთავარეპისკოპოსთან, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.**

კინორეჟისორი შიმშილობის მეთხუთმეტე დღეს შეუძლოდ გახდა და სასწრაფო დახმარების ბრიგადის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა მოუწია. მას გადასხმა გაუკეთდა. როგორც რეჟისორის მეუღლემ ლელა მაქაცარიამ განაცხადა, ლევან ანჯაფარიძეს მისი მეგობრები, კოლეგები და მსახიობები შიმშილობის შეწყვეტას სთხოვდნენ, თუმცა კინორეჟისორს გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ პატრიარქმა შეაძლებინა.

როგორც რეჟისორმა განაცხადა, ის ბრძოლას არ შეწყვეტს და საკუთარი სიმართლის დამტკიცებას სულ სხვა გზებით შეეცდება.

– ამ ასაკში წამოსვლა სახლიდან და აქ დაბანაკება ნამდვილად არ მეხალისებოდა. უბრალოდ, სხვანაირად ყურადღებას ვეღარ მივიქცევდი. ამიტომაც გამოვაცხადე შიმშილობა, ველოდები კომისიის დადგენილებას და შემდგომ უკვე მივიღებ გადაწყვეტილებას, რა სახით და რა ფორმით გავაგრძელებ ჩემს ბრძოლას.

ლევან ანჯაფარიძემ შიმშილობა იმ უნდობლობის გამო დაიწყო, რომელსაც რეჟისორი ეროვნულ კინოცენტრს და წლევანდელი სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსის კომისიის წევრებს უცხადებს. ის საკონკურსო შედეგების გაუქმებას ითხოვს.

– მე მაქვს სერიოზული ბრალდებები და მინდა ჩემი სიმართლე დავამტკიცო. შესაბამისმა ორგანოებმა კინოცენტრის ფინანსური საქმიანობა უნდა გამოიძიონ.

ლევან ანჯაფარიძეს მიაჩნია, რომ მისი პროექტი, რომელიც სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის კონკურსში მონაწილეობდა, დაუმსახურებლად დაიწუნეს. ეროვნულმა კინოცენტრმა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსი 14 ივნისს დახურულად გამოაცხადა. ლევან ანჯაფარიძის პროექტი „ციცინათელები", რომელიც აფხაზეთის თემაზეა შექმნილი, მეათე ადგილზე გავიდა. ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ ლევან ანჯაფარიძემ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა.



კინორეჟისორს რვაპუნქტიანი მოთხოვნა აქვს: შეისწავლონ კინოცენტრის ჟიურის წევრების კომპეტენტურობა; გათავისუფლდეს კინოცენტრი არაპროფესიონალი კადრებისგან; გადაიხედოს კინოცენტრის კონკურსის შეფასების კრიტერიუმები; საჯარო გახდეს მეორე ტურში გადასული ყველა ლიტერატურული სცენარი; შესაბამისმა ორგანოებმა ეროვნული კინოცენტრის საქმიანობა შეისწავლონ; გაბათილდეს სრულმეტრაჟიანი კონკურსის შედეგი; სახელმწიფო პრიორიტეტად მიჩნეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი პრიორიტეტული გახდეს ქართულ კინოში და განისაზღვროს კინემატოგრაფის როლი სახალხო დიპლომატიის განვითარებაში.

კინორეჟისორს მიაჩნია, რომ ეროვნული კინოცენტრი ნაციონალური მოძრაობის გავლენის ქვეშ რჩება. ეს მან თავისი კარვის წინ დადგმულ საპროტესტო ბანერზეც დააფიქსირა: „განთავისუფლდეს ქართული კულტურა ნაცების და ქაჯების შემოსევისგან!!!"

– კინოცენტრს ჯერ გადახალისების ხელი არ შეხებია. კონკურსის ჟიურის კომპეტენტურობასაც ეჭვქვეშ ვაყენებ და ეროვნულ კინოცენტრში ინტერესთა კონფლიქტის არსებობასაც არ გამოვრიცხავ. სერიოზული ბრალდებები მაქვს კინოცენტრთან დაკავშირებით. კონკურსში გამარჯვებული თითქმის ყველა ფილმის ავტორი მონაწილეობდა სხვადასხვა კომისიის სხვადასხვა ჟიურის წევრად. ეს უკვე დიდი დარღვევაა, – აცხადებს რეჟისორი.

მისი მეუღლის ლელა მაქაცარიას თქმით:

– ლევანის ფილმის პროექტი საქართველოსთვის მნიშვნელოვან თემას – აფხაზეთს ეხება. მე პროექტის პროდიუსერი ვარ და მიმაჩნია, რომ ამ ფილმს კონფლიქტის გადაწყვეტაში დადებითი მუხტის შეტანა შეუძლია. ფილმის სცენარი 2003 წელს დაიწერა და 2005 წლის შემდეგ ოთხჯერ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსში ჩავრთეთ, თუმცა, უშედეგოდ. მამუკა არეშიძემ, კავკასიის საკითხების სპეციალისტმა, რომელიც ფილმის კონსულტანტი იყო, პროექტი აფხაზეთში ჩაიტანა და აფხაზები ამით დაინტერესდნენ. ძალიან ბევრი ცუდი და კარგი რაღაცებია, რომელიც სინამდვილეში მოხდა. ცუდი ის არის, რომ ეროვნული კინოცენტრი გამარჯვებულ პროექტებს არ ასაჯაროებს.

კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე კულტურის მინისტრის მოადგილეს მანანა ბერიკაშვილსაც შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ კულტურის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– ლევან ანჯაფარიძის მიერ მოწოდებულ მასალებს იურისტები იხილავენ და საბოლოო დასკვნას რამდენიმე დღეში წარმოვადგენთ. ჯერ განხილვა იქნება იურიდიულ დონეზე, შემდგომ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. გამოვრიცხავ კინოცენტრში ნაციონალური მოძრაობის გავლენის არსებობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სცენარების შერჩევა ძალიან რთული, შემოქმედებითი პროცესია, რადგან ამ დროს ყოველთვის არის სხვადასხვა მოსაზრება სცენარებთან დაკავშირებით.

ეროვნულ კინოცენტრში განმარტავენ, რომ კინოცენტრი პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას საექსპერტო დასკვნის მიხედვით იღებს. წელს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის 9 წევრიანი ჟიურის თავმჯდომარე ლანა ღოღობერიძე იყო. კინორეჟისორის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კინოცენტრმა გასცა, თუმცა არ გაუცია ის ინფორმაცია, რომელიც საავტორო უფლებებს შელახავს.

წელს ეროვნულმა კინოცენტრმა კონკურსები სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის, მოკლე და სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის, სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ქართულ-უცხოური ფილმის და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის დასაფინანსებლად ან ნაწილობრივ დასაფინანსებლად გამოაცხადა.

ირკვევა, რომ კონკურსების ჟიურის შემადგენლობას კინოცენტრის საექსპერტო კომისიის დებულება განსაზღვრავს, სადაც წერია:

– „საექსპერტო კომისიის წევრი ტოვებს კომისიის შემადგენლობას, თუ მისი ავტორობით ან სხვა სახის მონაწილეობით შექმნილი კინოპროექტი განიხილება საექსპერტო კომისიის მიერ".

როგორც ლელა მაქაცარია ამბობს:

– კინოცენტრის მიერ 2013 წელს გამოცხადებული კონკურსების საექსპერტო კომისიაში იყვნენ ისეთი ადამიანებიც, ვინც სხვა კონკურსში მონაწილე ფილმებთან დაკავშირებული იყო, მისი საავტორო პროექტი ან მისი დამსაქმებელი კომპანიის წარმოდგენილი პროექტი სხვა კონკურსში მონაწილეობდა. თუმცა, არც ერთი მათგანი არ იყო იმ კონკურსის საექსპერტო კომისიის წევრი, რომელშიც მასთან რამენაირად დაკავშირებული ფილმი მონაწილეობდა. ამგვარი კავშირი კინოცენტრში ინტერესთა კონფლიქტად მიმაჩნია.

ლევან ანჯაფარიძის თქმით, ის ასევე ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის ნანა ჯანელიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს.

– საჩივრით კულტურის სამინისტროს მივმართე. როგორც გურამ ოდიშარიამ მითხრა, საჩივრის განხილვა და შესწავლა სპეციალური კომისიის მიერ მიმდინარეობს და დასკვნა რამდენიმე დღეში გამოქვეყნდება.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას განცხადებით, რეჟისორის მიერ სამინისტროში შეტანილი საჩივრის განხილვა უკვე მიმდინარეობს:

– რეჟისორ ლევან ანჯაფარიძის მიერ სამინისტროში შეტანილი საჩივრის განხილვა მიმდინარეობს. სამინისტროს სურვილია სწრაფად გაერკვეს სიტუაციაში. ვამოწმებთ ყველაფერს ამასთან დაკავშირებით, ამასთანავე განვიცდით მის ფიზიკურ მდგომარეობას. ის, რაც მას აქვს ჩამოწერილი თავის საჩივარში, ყველაფერი იქნება შესწავლილი და გაანალიზებული. რასაც წერს, ყველა შემოწმება ჩატარდება. ვნახავთ, რამდენად შეესაბამება გადმოცემული ფაქტები რეალობას.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია", „ზაპოი", ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ პაციენტისგან ფარულად მის ულუფა საკვებში, წვენებში, წვნიანებში, წყალში ფხვნილის, ნაყენისა და წვენების სახით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა, ლამბლიოზი-ჭიები, ნაღვლის ბუშტის ანთება, ნაღვლის წვენის დისკინეზია, ნაღვლის ბუშტიდან შლაკებისა და წვრილი კენჭების გამოდევნა, გაუვალობა, შებერილობა, ღვიძლის გასუფთავება, ნაწლავების გაწმენდა მცენარეული, უსაფრთხო, ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# დებიუტანტი ჯუჯების წინააღმდეგ

საქართველოს თასის ფინალისტი საჩხერის „ჩიხურა“ უეფას ევროპის ლიგის 2013-2014 წლების გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ლიხტენშტაინის „ვადუცს“ დღეს, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაუხვდება. მატჩი 18 საათზე დაიწყება. გეტყვით რომ „ჩიხურას“ ამ მხრივ არანაირი გამოცდილება არ აქვს და ეს იქნება გუნდის დებიუტი ევროსარბიელზე.

ლიხტენშტეინელები საქართველოში ორი დღით ადრე ჩამოფრინდნენ და პირველი ვარჯიში, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საფეხბურთო სკოლა – „საბურთალოს“ მოედანზე შედგა.

ვერ გეტყვით, რატომ მოიქცნენ ლიხტენშტეინელები ასე, მაშინ როდესაც სანაკრებო ბაზითაც შეეძლოთ ესარგებლათ.

გუშინვე ორივე გუნდმა მორიგი ვარჯიშები გამართა და დღევანდელი მატჩისთვის მოემზადა, რომელიც 18 საათზე დაიწყება „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე.

საჩხერის „ჩიხურას“ საევროლიგო განაცხადი:

მეკარეები: ზურაბ მწყერაშვილი, გიორგი სომხიშვილი, რევაზ თევდორაძე;

მცველები: ლაშა ჭელიძე, გიორგი ქიმაძე, გოგიტა გოგოტიშვილი, ლაშა ჩიკვაიძე, შოთა კაშია, გიორგი რეხვიაშვილი;

ნახევარმცველები: ჯაბა ჯიღაური, ნიკა კვასხვაძე, გუგუა იაკობაშვილი, დავით კაკულია, ალექსანდრე ივანიშვილი, ვაჟა ლომაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, გიგა ბეჭვაია, დავით ოდიკაძე, ბადრი დემეტრაშვილი;

თავდამსხმელები: რატი წინამძღვრიშვილი, ბესიკ დეკანოიძე, თემურ ნადირაძე, თორნიკე მუმლაძე.

საჩხერელთა მეტოქე, ქვეყნიდან გამომდინარე, დაუძლეველი ბარიერი სულაც არ ჩანს. თუმცა, ასეც არ არის საქმე. ჯერ ერთი, ყოფილა შემთხვევები, ასევე ჯუჯა ქვეყნების წარმომადგენლები ვერ დაგვიმარცხება. იმედია, ამჯერად ასე არ იქნება, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ საჩხერლებს შემდეგი ეტაპი ჯიბეში აქვთ.

„ვადუცი“ შვეიცარიის ჩემპიონატში თამაშობს. მართალია, ამჟამად რანგით მეორე ჩელენჯლიგაში, მაგრამ ელიტარულ სუპერლიგასაც სტუმბოს ხანდახან.

„ვადუცთან“ პირველი „გაცნობა“ 6 წლის წინათ მოხდა, როცა უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ეს გუნდი თბილისის „დინამოს“ დაუპირისპირდა. იმ დროს „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი-უფროსი გახლდათ და ამ წყვილში უპირობო ფავორიტადაც, რაღა თქმა უნდა, ქართული კლუბი მიიჩნეოდა.

ასეც მოხდა: „დინამომ“ ეს ეტაპი კი გაიარა, მაგრამ ვისაც „ვადუცთან“ ექვსი წლის წინანდელი დაპირისპირებები ახსოვს, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ მთლად უსუსური გუნდის შთაბეჭდილება ნამდვილად არ დატოვა.

სხვათა შორის, იმდროინდელი „დინამოს“ შემადგენლობაში ორი ისეთი ფეხბურთელი ასპარეზობდა, დიდი ალბათობით, 4 ივლისსაც რომ უნდა ვიხილოთ „ვადუცის“ წინააღმდეგ: შოთა კაშია და დავით ოდიკაძე ხომ „ჩიხურას“ ღირსებას იცავენ...

# სპორტულ ჟურნალისტთა თასი ჯვაროსნებმა წაიღეს

29 ივნისიდან – 2 ივლისის ჩათვლით „ვისოლის“ სპორტულ კომპლექსზე სოფელ დიღომში გაიმართება საფეხბურთო ტურნირი სპორტულ მედიასა და გულშემატკივართა გუნდებს შორის. „გეოსპორტს.გე-ს თასი – ასე ეწოდა ტურნირს, რომელიც სიმბოლურად, სპორტული ჟურნალისტიკის დღეს დასრულდა.

დაძაბული ჯგუფური ეტაპის მატჩებს შემდეგ, პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს „აფხაზეთის ხმა“ და „ქომაგები“ დაუპირისპირდნენ. ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩი გამოდგა. ყველაფერი ერეკლე კაჭახიძის ორმა ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა და „აფხაზეთის ხმა“ ფინალში გაიყვანა.

კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა „ჯვაროსნებისა“ და „ოლსპორტ.გე“-ს შეხვედრა. ძირითადი დროის ფრედ, 1:1 დასრულდა, პენალტებში კი „ჯვაროსნები“ უკეთ გაისარჯნენ (4:2) და ფინალში გავიდნენ.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ფინალური მატჩი. ანგარიში კაციტაძემ გახსნა, ხოლო გოგილიძემ „ჯვაროსნების“ უპირატესობა ორამდე გაზარდა. მატჩის მიწურულს გულბანმა ერთი ბურთი გაქვითა, თუმცა „აფხაზეთის ხმამ“ მეტის გაკეთება ველარ შეძლო. საბოლოოდ „ჯვაროსნებმა“ ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ნუგო გვასალია (ჯვაროსნები) გახდა. საუკეთესო ბომბარდირად „აფხაზეთის ხმის“ წარმომადგენელი ერეკლე კაჭახიძე (17 გოლი) დასახელდა. საუკეთესო მეკარედ „ჯვაროსანი“ ედი მამფორია აღიარეს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სახეშეცვლილი ტორპედო სლოვაკეთის ტიტულოვანი გუნდის წინააღმდეგ

ზედიზედ მეორედ ქუთაისური საფეხბურთო კლუბი ევროტურნირზე ასპარეზობას ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან იწყებს. 4 ივლისს, „ტორპედო“ ქუთაისურ მატჩში სლოვაკეთის „ჟილინას“ დაუპირისპირდება. ეს იქნება ქუთაისელთა რიგით 25-ე საევროტურნირო მატჩი.

წინა თამაშებში, „ტორპედომ“ 8 მატჩი მოიგო, 4 ფრედ ითამაშა და 12 წააგო (ბურთების ბალანსი 32:40). სულ განვლილ მატჩებში 93-მა ტორპედოელმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან გოლი 14 ფეხბურთელის ანგარიშზეა.

ევროტურნირებზე ჩატარებული ყველაზე მეტი მატჩი, სამ ტორპედოელზე მოდის: 14-14-ჯერ მოირგეს ქუთაისური კლუბის მაისური კახა კვეტენაძემ, დავით ჯანაშიამ და ზურაბ იონანიძემ.

ყველაზე მეტი „ევროპული“ გოლი გიორგი მეგრელაძეს აქვს გატანილი. მან 10 მატჩში 7 გოლის გატანა შეძლო. შემდეგ მოდის 5 გოლის გამტანი ჯანაშია, იონანიძემ 4 გაიტანა, კვეტენაძემ კი 3. 2-2 გოლის გატანა მოახერხა სამმა ფეხბურთელმა – ზაზა ვაჩიბერაძემ, მიხეილ აშვეთიამ და მალხაზ ასათიანმა.

ბოლო საევროტურნირო გოლი „ტორპედომ“ თითქმის ზუსტად ერთი წლის უკან, 2012 წლის 5 ივლისს გაიტანა. ეს ნიკოლოზ საბანაძემ მოახერხა, რომელმაც ქუთაისში ყაზახურ „აქტობესთან“ (1:1) უეფას ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ანგარიში გახსნა. აქვე მოგახსენებთ, რომ ევროტურნირზე ტორპედოელთა ბოლო გამარჯვება 2002 წლის 24 ივლისით თარიღდება, როცა ალექსანდრე შტელინის გაწვრთნილმა გუნდმა ფარერების „ბ36“ დაამარცხა სტუმრად (1:0).

„ტორპედომ“ ევროტურნირების წინ შეკრება ავსტრიაში გაიარა, სადაც 3 საკონტროლო მატჩი გამართა. აქედან, ორი სლოვაკურ გუნდთან. ტორპედოელები „კოშიცესთან“ 2:3 დამარცხდნენ, ხოლო „პოდბრეზოვას“ უგოლოდ გაეყარნენ. კიდევ ერთ საკონტროლო მატჩში კი, რიონსპირელები ავსტრიულ გრიოდიგთან 1:5 დამარცხდნენ.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის შემდეგ „ტორპედო“ მნიშვნელოვნად გადახალისდა, შეიცვალა მწვრთნელი, გუნდში გამოჩდნენ სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი ფეხბურთელები, რომლებსაც წინ რთული გამოცდა ელით. თუმცა, გუნდში მაინც იმედიანი განწყობაა.

**ჟერარდ სარაგოსა მულეტი:**

– მნიშვნელოვანი იყო ეს ამხანაგური თამაშები. უნდა გვენახა თუ რამდენად იყვნენ ფეხბურთელები მზად, როგორც ფიზიკურად, ისე ტაქტიკურად, ამიტომ უმეტესი მათგანი გამოვცადეთ. გასულ მატჩებში ნათლად გამოჩნდა ჩვენს თამაშში ხარვეზები, რაც ბუნებრივი იყო, რადგან პირველად ითამაშა გუნდმა ასეთი შემადგენლობებით. ყველაზე მთავარი ის არის, რომ გუნდი ერთ ოჯახად ყალიბდება. იმედია, გაწეული სამუშაო დაგვიფასდება და დროის სიმცირის მიუხედავად 4 ივლისისთვის სათანადოდ ვიქნებით მზად. რაც შეეხება ევროპის ლიგაზე ჩვენს მეტოქეს, სლოვაკეთის „ჟილინა“ საკმაოდ ძლიერი და დიდი ევროპული გამოცდილების მქონე გუნდია, მიუხედავად ამისა, „ტორპედოს“ მიზანი არის გამარჯვება და გულშემატკივრების გახარება. ჩვენს გუნდს შესწევს იმის ძალა, რომ გაიაროს პირველი ეტაპი

ზაზა ჭელიძე:

– ავსტრიაში ნაყოფიერი შეკრება გამოდგა. მართალია თამაშები ვერ მოვიგეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალშიც ვერ ვიმარჯვებთ. ძნელია ასე მოკლე ხანში შეთამაშება, რადგან 90 პროცენტით ახალი გუნდია. „ჟილინას“ რაც შეეხება, როგორც იცით, 2 წლის წინ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურზე იყო, თუმცა ეს ჩვენ არ გვაშინებს და ყველანაირად ვეცდებით, რომ 2 მატჩის ჯამში დავამარცხოთ ისინი. შანსები ვიტყვი, რომ მაინც თანაბარია. ჩვენზე გამოცდილი გუნდია, თუმცა შეცდომები რაც შეიძლება მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ და მოგება შეგვიძლია. დღეს მათი ვარჯიშიც ვნახე და ვიტყოდი, რომ პროფესიონალებით არის გუნდი დაკომპლექტებული. ჯობდა პირველი მატჩი გასვლა გვქონოდა, მაგრამ არა უშავს. ნორმალური ანგარიშით უნდა მოვიგოთ, რათა საპასუხო თამაშისთვის კარგი განწყობა შევიქმნათ. გულშემატკივრებისგან ველოდებით, რომ გაავსებენ სტადიონს და ბოლომდე დაგვიდგებიან მხარში. ჩვენ მათი იმედი გვაქვს, ისევე, როგორც მათ – ჩვენი.




**გიორგი კუხიანიძე:**

– ახალმა მწვრთნელმა გუნდში ახალი ტაქტიკა დანერგა. ვფიქრობ, რომ ვინც დაიმსახურა 4-ში აუცილებლად გაიყვანს მოედანზე და ბიჭები ყველაფერს ვიღონებთ, რომ ჩვენი გულშემატკივრები გავახაროთ. „ჟილინა“ სერიოზული გუნდია, რაც იმით მოწმობს, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მყოფი შემადგენლობიდან დღესაც ჰყავს შენარჩუნებული ფეხბურთელები. ვუყურეთ ამ გუნდის ამხანაგურ თამაშებს, ვფიქრობ, ძალიან გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს და ურთულესი თამაში გველის. ვიტყოდი, რომ მეტოქეს მეტი შანსი აქვს იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენზე გამოცდილები არიან და პირველ მატჩს სტუმრად თამაშობენ, მაგრამ ჩვენ ყველას დავანახებთ, რომ მთავარია მონდომება და მოედანზე ყველაფრის გაღება. ფეხბურთელების სახელით ყველას ვთხოვთ, მოვიდნენ სტადიონზე და თვითონაც დაინახავენ, რომ ბიჭები ბოლომდე დავიხარჯებით და მათი თანადგომით შესაძლებელი იქნება შემდეგ ეტაპზე „ტორპედოს“ თამაში.

**ტორპედოელთა საევროლიგო განაცხადი:**

**მეკარეები:** ომარ მიგინეიშვილი, მაქსიმე ქვილითაია, ბაჩო მიქავა;

**მცველები:** ვაჟა ტაბატაძე, დავით მთივლიშვილი, გიორგი გაბაძე, ზაზა ჭელიძე, ნიკა სანდოხაძე, ნიკა ჭანტურია, დავით უბილავა, რევაზ ჩიტეიშვილი;

**ნახევარმცველები:** მათე ცინცაძე, მერაბ გიგაური, ნიკა ფირცხალავა, გიორგი კუხიანიძე, ალეკო მზევაშვილი, ნიკა ახვლედიანი, გიორგი გოროზია, თეიმურაზ მარკოზაშვილი;

**თავდამსხმელები:** ლუკა ზარანდია, გიორგი ფანცულაია, ბექა ტუღუში, თორნიკე კაპანაძე, დავით ჯიქია, რევაზ ბარაბაძე.

„ჟილინამ“ ევროტურნირის საგზური ქვეყნის თასის გათამაშების ფინალში გასვლით მოიპოვა, სადაც ბრატისლავას „სლოვანთან“ 0:2 დამარცხდა.

„ჟილინა“, რომელიც სლოვაკეთში მეორე ყველაზე ტიტულოვანი საფეხბურთო კლუბია (მხოლოდ ბრატისლავას „სლოვანს“ ჩამორჩება) 1908 წლის მიწურულს ფეხბურთის მოყვარულ პიონერთა მიერ შეიქმნა და თავდაპირველად უნგრეთის სახელით გამოდიოდა. კლუბის ჩამოყალიბებას ორგანიზაციული საფუძველი სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა სტუდენტებმა დაუდეს.

საერთო ჯამში, ჟილინურმა გუნდმა ჩეხოსლოვაკიის არსებობისას პირველი ლიგის 48 სეზონიდან 32-ში მიიღო მონაწილეობა. კლუბის ისტორიაში პირველი ყველაზე ხმაურიანი წარმატება, 1946-47 წლების სეზონს უკავშირდება, ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში მოპოვებული მე-3 ადგილით მას „არაოფიციალური სლოვაკეთის ჩემპიონის“ სტატუსი მიანიჭეს, რადგანაც გუნდმა სატურნირო ცხრილში სლოვაკეთის სხვა წარმომადგენლებს აჯობა.

აღსანიშნავია, რომ ჟილინას საფეხბურთო კლუბმა რამდენჯერმე გამოიცვალა სახელი. გამოდიოდა, როგორც „ჟსოლნა“, „სოკოლი“, „იესკრა“, „იედნოტა“ და „დინამო“.

ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შემდეგ (1993 წლიდან) სლოვაკეთის სუპერ ლიგაში „ჟილინამ“ 19 სეზონი ჩაატარა და ერთადერთხელ გავარდა პირველი დივიზიონიდან. ამის შემდგომი ხანა ჟილუნური ფეხბურთისთვის ყველაზე უსიამოვნო იყო.

„ჟილინას“ დომინირება სლოვაკეთში 2002 წლიდან დაიწყო, როცა სლოვაკეთის ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ლეოს კალვოდას თაოსნობით გუნდი პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. 2006-07 წლების სეზონში მოპოვებული ოქროს მედლებით გუნდმა ჩემპიონის ტიტული მეოთხედ იზეიმა. 5-წლიანი პაუზის შემდეგ კიდევ ერთი „ოქროს სეზონი“ ჟილინელებისთვის 2010 წელს იყო, ბოლოს კი ისინი სუპერლიგაში შარშან გავიდნენ პირველ ადგილზე, რაც მეექვსედ მოხდა. მაშინ გუნდს პაველ ჰაპალი წვრთნიდა, რომელსაც ამჟამად პოლონური „ზაგლებიე“ აბარია.

ასევე, გუნდმა თითოჯერ მოიპოვა ეროვნული თასი და სუპერთასი. გარდა ამისა, ეროვნულ ჩემპიონატში იგი 3-ჯერ გავიდა მეორე ადგილზე და 5-ჯერ დამარცხდა თასის გათამაშების ფინალში.

ევროასპარეზზე „ჟილინა“ პირველად 1961 წელს მოხვდა, იმ დროს კლუბმა ეროვნული თასის ფინალში ასპარეზობით მოიპოვა ევროსაგზური, თასების მფლობელთა თასზე ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ ბარიერი წარმატებით გადალახა (1:0, 3:2), თუმცა გათამაშებას მეოთხედფინალიდან იტალიურმა „ფიორენტინამ“ გამოთიშა(3:2, 0:2).

5-ჯერ იასპარეზა ინტერტოტოს თასზეც, სადაც მისი მაქსიმუმი ჯგუფურ ეტაპზე თამაში იყო.

2003 წლიდან „ჟილინა“ რეგულარულად გამოდის ევროთასებზე. ამ საუკუნეში სლოვაკური გუნდი 6-ჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგაზე და 5-ჯერ ევროპის ლიგაზე. აქედან ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე ყველაზე გამოსარჩევი იყო 2010-11 წლების სეზონის ჯგუფურ ეტაპზე თამაში, სადაც ლონდონის „ჩელსისთან“, მარსელის „ოლიმპიკთან“ და მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთად მყოფმა ვერცერთი ქულა ვერ მოიპოვა, რის შემდეგაც იგი მწვრთნელმა დატოვა.

იქამდე, 2009 წელს ჟილინელებმა ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც იასპარეზეს (მწვრთნელი დუშან რადოლსკი), სადაც ჰოლანდიურ „აიაქსთან“, ინგლისურ „ასტონ ვილასთან“, გერმანულ „ჰამბურგთან“ და ჩეხურ „სპარტასთან“ ჭიდილში შემდეგი ეტაპის საგზური ვერ მოიპოვა.

2002 წლიდან დღემდე „ჟილინას“ ევროტურნირებზე გამოსვლების სტატისტიკა ასეთია: 18 მოგება, 11 ფრე და 21 მარცხი. აქედან შინ: 10-ჯერ მოიგო, 4-ჯერ ფრედ ითამაშა და 12 წააგო. ბურთების ბალანსი – 51:69.

**სლოვაკური გუნდის საევროლიგო განაცხადი ასეთია:**

**მეკარეები:** მარტინ დუბრავკა, მარტინ კრნაჩი;

**მცველები:** სერგე აკაკპო, ვლადიმირ ლეიტნერი, იოზეფ პიაჩეკი, ალი ჩისაი, დენის ვავრო, ანდრეი კადლეცი, ერნესტ მაბუკა, რიკარდო ნუნეში;

**ნახევარმცველები:** ადამ ჟილაკი, რომან გერგელი, ვიქტორ პეჩოვსკი, მიჩალ მრავეცი;

**თავდამსხმელები:** ტომაშ მაიტანი, დავიდ გუბა, ბაბატუნდე ბელლო, რობერტ პიჩი.

გასულ სეზონში 16 გატანილი გოლით „ჟილინას“ საუკეთესო ბომბარდირია 24 წლის თავდამსხმელი რობერტ პიჩი.

გუნდს საკმაოდ ჰყავს გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც ლიდერებად ითვლებიან. მათგან გამორჩეულია 30 წლის მცველი იოზეფ პიაჩეკი, რომელსაც „ჟილინაში“ ყველაზე მეტი – 149 მატჩი აქვს ჩატარებული. შემდეგ მოდის 26 წლის თავდამსხმელი ტომაშ მაიტანი, რომლის ანგარიშზე 128 შეხვედრაში გატანილი 41 გატანილი გოლია. ასევე არიან: 39 წლის მცველი ვლადიმირ ლეიტნერი (იგი „ჟილინაში“ 2006 წლიდან თამაშობს), 30 წლის ნახევარმცველი ვიქტორ პეჩოვსკი (82), კამერუნელი მცველი ერნესტ მაბუკა (76).

ახალი მწვრთნელი ჰყავს „ჟილინასაც“: სლოვაკეთის გასულ ჩემპიონატში მე-7 ადგილის დაკავებისა და ეროვნული თასის ფინალში განცდილი მარცხის შემდეგ „ჟილინა“ სამწვრთნელო შტაბმა დატოვა. მიმდინარე თვეში, გუნდში მივიდა სლოვაკური „ტრენჩინის“ ყოფილი თავკაცი 37 წლის ადრიან გულა, რომლის ხელმძღვანელობით ტრენჩინელები სუპერლიგაში გადავიდნენ. მისი თანაშემწე ასევე ექს-ტრენჩინელი მარიან ჟიმენია. აღსანიშნავია, რომ სამწვრთნელო შტაბის ყველა წევრი სლოვაკია.

„ტორპედოს“ მსგავსად ჩვენმა მეტოქემ საზაფხულო შეკრება ავსტრიაში გაიარა, სადაც თითქმის ერთი კვირა დაჰყო. გამართა სამი მოსამზადებელი მატჩი, რომლებშიც ერთნაირი შედეგები აჩვენა.

პირველ ავსტრიულ სპარინგში ჩეხეთის ქვედალიგელ ჩესკე ბუდეოვიცეს „დინამოსთან“ ფრედ, 1:1 ითამაშა. იმავე დღეს, მეორე ამხანაგურში პოლონეთის ყველაზე ტიტულოვან გუნდ ვარშავის „ლეგიას“ დაუზავდა (1:1), რომელშიც საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ლადო დვალიშვილი ასპარეზობს. ბოლო სპარინგ-მატჩი კი ავსტრიის მოქმედ ჩემპიონ ვენის „რაპიდთან“ ასევე ფრედ, 0:0 დაასრულა.

**ადრიან გულა:**

– საინტერესო მატჩი იქნება, მოუთმენლად ველოდებით „ტორპედოსთან“ შეხვედრას. ჩვენი მეტოქის თამაში ავსტრიაში ვნახეთ. „ტორპედოზე“ ინფორმაცია იმ სლოვაკური გუნდებისგან გვაქვს, ვისაც ოდესმე მასთან უთამაშია. ჩემი მწვრთნელობის პერიოდში, ევროთასებზე პირველ ოფიციალურ შეხვედრას ვატარებთ, ამიტომ ჩვენი მიზანია ეს მატჩი მოვიგოთ. რამდენიმე მოთამაშის პრობლემა მაქვს, ისინი ქუთაისში არ წამომიყვანია, მაგრამ ვინც წამოვიყვანე, ყველა 100 პროცენტით მზად არის სათამაშოდ. ვიცით, რომ ესპანელი მწვრთნელი ცდილობს ქუთაისელებს კომბინაციური ფეხბურთი ათამაშოს, ამიტომ ჩვენი იარაღი კონტრშეტევა იქნება. იმედი მაქვს სტადიონი გაივსება და სანახაობრივ ფეხბურთს ნახავს მაყურებელი.

უეფას სამსაჯო განყოფილებამ აღნიშნულ თამაშზე ხორვატ არბიტრთა ბრიგადა დანიშნა, რომელსაც 37 წლის დომაგოი ვუჩკოვი უხელმძღვანელებს. იგი მის ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მსაჯია. 2008 წლიდან დღემდე მან ეროვნულ ტურნირებში სულ 58 მატჩი განსაჯა და საშუალოდ ერთ თამაშში 4 ყვითელი ბარათი აჩვენა.

მას დაეხმარებიან ასისტენტები: გორან პერიცა და ივიცა მოდრიჩი, ხოლო სათადარიგო მსაჯის ფუნქციებს კი იგორ პრისტოვნიკი შეასრულებს. ასევე, ქუთაისში მოვლენილ ოფიციალურ პირთა შორის არიან – მატჩის დელეგატი ყაზახეთიდან კუანიშ კანაპიანოვი და მსაჯთა დამკვირვებელი პორტუგალიელი ანტონიო მანუელ ალმეიდა კოსტა.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| შირაქი-ტრე პენე | 3:0 |
| ლუზიტანოსი-სტეისმური | 2:0 |

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| მეტალურგი(სკ)-ყარაბახი | 0:1 |
| შლიმა-ხაზარი | 1:1 |
| ბალა თაუნი-ლევადია | 1:0 |
| ნარვა-გეფლე | 0:3 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ლი-რადვანსკა!ა. | 6:7;6:4;2:6 |
| ლისიცკი-კანეპი | 6:3;6:3 |
| ბარტოლი-სტივენსი | 6:4;7:5 |
| კვიტოვა-ფლიპკენსი | 6:4;3:6;4:6 |

# ნიკოლოზ ცისკარიძე ჩრდილოეთ ოსეთის სახალხო არტისტია

ეკა ირემაშვილი

**დიდი თეატრიდან გათავისუფლებულ ნიკოლოზ ცისკარიძეს ჩრდილოეთ ოსეთის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს. ორიოდე დღის წინ მოცეკვავე ვლადიკავკაზში იმყოფებოდა, სადაც იცეკვა პარტია ბალეტიდან „შეჰერეზადა". მოცეკვავე ვლადიკავკაზში ხელოვნების ფესტივალის „სტუმრად ლარისა გერგიევასთან" ფარგლებში აღმოჩნდა. სწორედ ამ ფესტივალზე დააჯილდოვეს პრემიერი და მას ჩრდილოეთ ოსეთის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს.**

ნიკოლოზ ცისკარიძემ თავის მხრივ სიურპრიზი მოუმზადა ფესტივალის დამსწრე საზოგადოებას – მან ბალეტის მსახიობებთან ერთად ოსური ეროვნული ცეკვა შეასრულა.

როგორც რუსული გამოცემისთვის ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის კულტურისა და მასობრივი კომუნიკაციების მინისტრმა ფატიმა ხაბალოვამ განაცხადა:

– ნიკოლოზ ცისკარიძემ მიიღო ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო ჯგუფის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების წინადადებაც.

დათანხმდება თუ არა შეთავაზებას ნიკოლოზ ცისკარიძე, ჯერჯერობით უცნობია, რადგან მას კიდევ რამდენიმე მიწვევა აქვს სხვადასხვა საბალეტო დასებიდან. მოცეკვავემ ასევე მიიღო მიწვევა იაკუტიიდან და ბორდოდან.

საიტის „კპ.რუ" ცნობით, ნიკოლოზ ცისკარიძეს დიდ თეატრთან კონტრაქტი 30 ივნისს დაუმთავრდა. უკვე გარკვეულია, რომ დიდი თეატრის ხელმძღვანელობა არ აპირებს პრემიერს გაუგრძელოს კონტრაქტი, არც როგორც მოცეკვავეს და არც როგორც პედაგოგს.

ნიკოლოზ ცისკარიძის დიდი თეატრიდან გათავისუფლების მიზეზად მისი შემოქმედების გულშემატკივრები მისი მხრიდან სიმართლის თქმას ასახელებენ. ბოლო წლებში პრემიერი ხშირად აკრიტიკებდა დიდი თეატრის ხელმძღვანელობას, ჰქონდა ბევრი სკანდალური პუბლიკაცია პრესაში, ამის გამო ის გაფრთხილებულ იქნა და საყვედურიც კი გამოეცხადა პირად საქმეში. საბოლოოდ თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო, ნიკოლოზ ცისკარიძე დიდი თეატრიდან გაეშვა.

რუსული გამოცემის ცნობით, ნიკოლოზ ცისკარიძეს ეთანხმება მისი კოლეგა ანასტასია ვალაჩკოვა და აცხადებს, რომ პრემიერი სიმართლის თქმისთვის დაისაჯა. ამ უქმეებზე მოსკოვის ცენტრში კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ პრემიერის შემოქმედების თაყვანისმცემლები და ნიკოლოზ ცისკარიძის დიდი თეატრიდან გაშვება გააპროტესტეს. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ბალეტის მოყვარული საზოგადოება ქართველი მოცეკვავის დაბრუნებას დიდ თეატრში ითხოვს. პირველ შემთხვევაში აქციის მონაწილეებმა დიდი თეატრის ხელმძღვანელობისგან ნიკოლოზ ცისკარიძისთვის კონტრაქტის 5 წლით გაგრძელება მოითხოვეს. მათ რუსეთის კულტურის მინისტრის ვლადიმერ მიდინსკის სახელზე საგანგებო წერილიც შეადგინეს, სადაც დიდი თეატრის დირექტორ ანატოლი იკსანოვზე ზეწოლის მოხდენა ითხოვეს, რათა ამ უკანასკნელს ბალერონთან კონტრაქტი არ გაეწყვიტა. ნიკოლოზ ცისკარიძემ „ეხო მოსკვის" ეთერში აქციაზე მისულ თავის მხარდამჭერებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ეთიკური მიზეზების გამო აქციაზე მისვლა არ შეუძლია.

– ეთიკური მიზეზების გამო აქციაზე არ მივალ. დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარი დამიჭირა. ფაქტია, რომ დიდ თეატრში აღარ ვმუშაობ, თუმცა ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია სად ვიმუშავებ, – განაცხადა დიდი თეატრის ყოფილმა ბალერონმა.

როგორც „ნიუს.რამბლეხ.რუ" ნიკოლოზ ცისკარიძის დიდი თეატრიდან გაშვებასთან დაკავშირებით იტყობინება:

– დიდი თეატრი ყველაზე უფრო ძლიერი თავის ტკივილისგან, ნიკოლოზ ცისკარიძის სახით, გათავისუფლდა. ორი კონტრაქტი, რომელიც ხელოვანთან ჰქონდა დადებული თეატრს – როგორც მოცეკვავესთან და როგორც ბალეტმეისტერ-რეპეტიტორთან 30 ივნისს ამოიწურა და როგორც ცნობილი გახდა, ხელმძღვანელობა კონტრაქტის გაგრძელებას აღარ გეგმავს.

„მკ.რუ"-ს ჟურნალისტს კი მიაჩნია:

– თეატრის საქმიანობაში ჩახედული პროფესიონალები ასეთ ფინალს ელოდნენ კიდეც, რადგანაც ცისკარიძე სერიოზულად დაუპირისპირდა გენერალურ დირექტორს ანატოლი იკსანოვს. ეს თავისი ბრალია. ის, რომ უფრო დიპლომატიურად მოქცეულიყო, წასულიყო პროვინციაში, რომელიმე თეატრში ხელმძღვანელად, უფრო მოიგებდა. მაგრამ არა, მას უნდოდა მხოლოდ დიდი თეატრი და სხვა არაფერი. შესაძლებელია დიდ თეატრში საკადრო შიმშილიც დაიწყოს, თუკი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ თეატრში არ იარსებებს სამხატვრო იდეოლოგია.



დიდი თეატრის პრესსამსახურის ხელმძღვანელის კატერინა ნოვიკოვას თქმით:

– ნიკოლოზ ცისკარიძეს გადაეცა შეტყობინება, სადაც აღნიშნულია, რომ მას კონტრაქტი აღარ გაუგრძელდება. მას დიდ თეატრში ბალერონად და პედაგოგად მუშაობის ვადა 30 ივნისს ამოეწურა და სწორედ ეს იყო მისი მუშაობის ბოლო დღე დიდ თეატრში.

დიდი თეატრის პრესსამსახურის ხელმძღვანელს არ დაუკონკრეტებია ის მიზეზები, რის გამოც პრემიერი თეატრიდან დაითხოვეს, თუმცა აღნიშნა, რომ დამსაქმებელი ვალდებული არ არის დასაქმებულის სამსახურიდან გაშვების თაობაზე ახსნა-განმარტებები გააკეთოს.

თავად ნიკოლოზ ცისკარიძე აცხადებს, რომ მას ასე მიზანმიმართულად ექცევიან.

– თეატრში მოჰყავთ ისეთი ხალხი, რომლებსაც არანაირი გამოცდილება არ აქვთ. იმ მოცეკვავეებს კი, რომლებიც უკვე წლებია მუშაობენ, არ აძლევენ ცეკვის საშუალებას. ბოლოს დიდი თეატრის სცენაზე 16 მარტს ვიცეკვე, ბოლო სპექტაკლი კი მაისის ბოლო რიცხვებში მაქვს, – განუცხადა ბალერონმა აპრილის თვეში მიცემულ ინტერვიუში „იზვესტიას".

ნიკოლოზ ცისკრიძესა და დიდი თეატრის ხელმძღვანელობას შორის კონფლიქტი წლებია მიმდინარეობდა. სიტუაცია ორი წლის წინ გამძაფრდა, როცა მოცეკვავემ საჯაროდ გააკრიტიკა ხელმძღვანელობა დიდი თეატრის ისტორიული სცენის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მასშტაბურ დარღვევებში და მოცეკვავეებზე ზეწოლაში. თავის მხრივ დიდი თეატრის ხელმძღვანელობამ მოცეკვავე პრესასთან აქტიურ ურთიერთობაში და მათ მიმართ მიზანმიმართულ ინტრიგებში დაადანაშაულა, თანაც მაქსიმალურად შეამცირა რეპერტუარში ის სპექტაკლები, რომლებშიც ნიკოლოზ ცისკარიძეა დაკავებული. დიდი თეატრის პრემიერმა ორჯერ მიიღო საყვედური პირად საქმეში და ორივე პრესისთვის მიცემული ინტერვიუების გამო, რომლებიც ხელმძღვანელობას არ შეუთანხმა. ნიკოლოზ ცისკარიძემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საქმე აღძრა დიდი თეატრის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ პირად საქმეში შეტანილი საყვედურების გამო. სასამართლომ მოცეკვავის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოიტანა: ერთი საყვედური გაუქმდა, მეორე კი, რომელიც შეეხებოდა ნიკოლოზ ცისკარიძის მიერ ბიბისისთვის მიცემულ ინტერვიუს, ძალაში დარჩა. მოცეკვავემ განაცხადა, რომ განაჩენით კმაყოფილი არ არის და სარჩელს აუცილებლად გაასაჩივრებდა. საბოლოოდ მან შეწყვიტა კიდეც პრესასთან ყველანაირი ურთიერთობა, რომ დიდ თეატრში ადგილი არ დაეკარგა, მაგრამ როგორც ჩანს, მოცეკვავეს ამანაც არ უშველა.

მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელზე სერგეი ფილინზე თავდასხმა მოხდა. მაშინ ამაში თეატრის ხელმძღვანელობამ ნიკოლოზ ცისკარიძე დაადანაშაულა და თავდასხმაში თანამონაწილეობაში დასდო ბრალი. რუსული გამოცემების ნაწილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მოცეკვავის აზრით, დიდი თეატრის პრესსამსახური და გენერალური დირექტორი ანატოლი იკსანოვი ამ შემთხვევას პირადი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ და ამაში თეატრში მომუშავე ადამიანებს დაადანაშაულებდნენ. მაშინ დიდი თეატრის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არანაირ ბინძურ კამპანიას არ აწარმოებენ ნიკოლოზ ცისკარიძის წინააღმდეგ.

ნიკოლოზ ცისკარიძემ მისთვის კონტრაქტის შეწყვეტას დევნა უწოდა. როგორც „რია ნოვოსტი" იტყობინება, დიდი თეატრის პრემიერი ასეთ დასასრულს ელოდა კიდეც.

– ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი სიტყვა მიესადაგება – დევნა, – განაცხადა მოცეკვავემ და ჟურნალისტებს უარი უთხრა დამატებითი კომენტარის გაკეთებაზე.

ქართველი მოცეკვავე დიდ თეატრში 20 წელზე მეტხანს მოღვაწეობდა, მას წამყვანი პარტიები აქვს შესრულებული მსოფლიოში ცნობილ საბალეტო სპექტაკლებში და არაერთი საერთაშორისო აღიარებაც აქვს მოპოვებული. მან დიდ თეატრში პირველმა შეასრულა კვაზიმოდოს პარტია ბალეტში „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", რომელიც 10 წლის წინ როლან პეტიმ დადგა. უკვე 9 წელია ნიკოლოზ ცისკარიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მოსკოვის ქორეოგრაფიულ აკადემიაში და უძღვება მასტერკლასებს დიდ თეატრში. ამჟერად კი მოცეკვავე საქმის გარეშეა დარჩენილი და მიღებული შემოთავაზებებიდან საუკეთესოს არჩევაზე ფიქრობს.

## დათო ტურაშვილი ლიტერატურულ ღამეს გაუძღვება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნამედროვე ევროპული ლიტერატურის წარმომადგენლებს ჯეიმს ა. ჰოპკინსს დიდი ბრიტანეთიდან, ინგრიდ ტობუას საფრანგეთიდან და გიუნტერ ონემუსს გერმანიიდან. ქართველი მკითხველების განსაკუთრებულ ყურადღებას, ალბათ, დაიმსახურებს ის ფაქტი, რომ აკა მორჩილაძე თავად წაიკითხავს ნაწყვეტს თავისი რომანიდან, „ტყუპები და გაბრაზებული კახელი". საღამოს მოდერატორია მწერალი, დავით ტურაშვილი, – ამბობს თამთა გოჩიტაშვილი.

მისივე თქმით, პროექტში ჩართული ყველა ორგანიზაცია კულტურის პოპულარიზაციისთვის მუშაობს.

– ბრიტანეთის საბჭო დიდი ბრიტანეთის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას სხვა ქვეყნებთან კულტურისა და განათლების სფეროებში. მისი მოქმედების არეალი 110 ქვეყანას მოიცავს. ბრიტანეთის საბჭო ხელს უწყობს ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებას სხვა ქვეყნებთან სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის ურთიერთნდობის ამაღლებისა და ბრიტანული იდეებისა და მიღწევების პოპულარიზაციის მიზნით. ბრიტანეთის საბჭო არის დამოუკიდებელი, აპოლიტიკური ორგანიზაცია. გოეთეს ინსტიტუტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელს მსოფლიოში მოქმედი კულტურის ინსტიტუტია. მისი კულტურული მუშაობის ძირითად ასპექტებს წარმოადგენს ამიერკავკასიელი და გერმანელი ხელოვანებისა და ინტელექტუალების შეხვედრები, თანამედროვე გერმანული კულტურის პრეზენტაცია და კულტურის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა. საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი 11 წლისაა და ის თავდაპირველად ცნობილი იყო ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის სახელწოდებით. იგი მიზნად ისახავს ცნობადი გახადოს ფრანგული ენა და კულტურა საქართველოში და ხელი შეუწყოს ფრანგულ-ქართული კულტრული ურთიერთობის გაღრმავებას. რაც შეეხება ჩვენს მასპინძელ მწერალთა სახლს, საქართველოს მწერალთა სახლი მიზნად ისახავს ქართული მწერლობისა და ხელოვნების განვითარების, ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლების ურთიერთთანამშრომლობის და მათი საქმიანობის ხელშეწყობას, – ამბობს თამთა გოჩიტაშვილი.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქრისტიანული სამლოცველო, ეკლესია; 2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მონღოლეთში; 3. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. სამეცნიერო ნაშრომის მოკლე წერილობითი შინაარსი; 7. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი მარცვლისებრი ძვირფასი თვალი; 8. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 12. წყალში განზავებული ამიაკის ხსნარი; 14. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 16. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში; 17. მაღალი მორალური ადამიანური თვისება; 19. კლიმატური კურორტი ბორჯომის ხეობაში; 20. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟიშვილი.

**თარაზულად:** 6. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი უმსხვილესი ამერიკული კომპანია; 6. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 9. მთა თბილისში; 10. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი; 11. ბალეტ „დონკიხოტის" პერსონაჟი; 13. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 15. გერმანული ქიმიურ-ფარმაცევტული ფირმა; 18. შემწე, მფარველი ადამიანი; 21. მარმარილოს და ეგეოსის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 23. გულუბრყვილო, უეშმაკო ადამიანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰეტმანი; 2. ფაგი; 3. ვერფი; 4. ჩხეიძე; 6. ჟურფიქსი; 9. სუნამო; 13. არქტიკა; 14. მურტალო; 15. ცუკუბა; 17. პეტრა; 18. კარნო; 20. ყუმი.

**თარაზულად:** 1. ჰეფნერი; 5. კრიჟი; 7. ბერმუხა; 8. ტიგრისი; 10. უწერა; 11. ფორდი; 12. თუნუქი; 16. ტუნისი; 17. პოსკო; 19. ქედა; 21. მულინე; 22. არიანი; 23. მაკაბი; 24. როზეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭანჭური; 2. პათოის; 3. პროგრესი; 4. სიბარიტი; 7. მარმარილო; 8. მერწყული; 12. პროტესტი; 14. მონოტიპი; 16. ბატისტა; 17. შტოპორი; 19. ბუკე; 20. პატი.

**თარაზულად:** 5. ზარანდია; 6. პერისკოპი; 9. კუკავა; 10. სეტერი; 11. კრიკი; 13. კროსი; 15. კორომი; 18. კიქსი; 21. ჟიპიტაური; 22. სადახლო; 23. რეაქცია.

## დიანა ღურწკაია 35 წლის გახდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მიუხედავად იმისა, რომ მომღერალი უკვე 35 წლისაა, დანებებას არ აპირებს და გადაწყვეტილი აქვს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე ისწავლოს. როგორც ერთ-ერთ რუსულ გამოცემას იუბილარმა განუცხადა:

– წელს დაბადების დღეს უჩვეულოდ შევხვდი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე. მაგისტრატურაში ხელოვნების ფაკულტეტზე ვაბარებ. ზოგს ეს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ სწავლა სიკვდილამდეა. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად ჩაივლის. საღამოს კი მეგობრების, ნათესავებისა და კოლეგების გარემოცვაში იუბილეს რესტორანში აღვნიშნავ.

მომღერალს იუბილეს მთელი დღის განმავლობაში ულოცავდნენ როგორც ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები, ასევე კოლეგები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, მათ შორის აღმოჩნდა ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო.

როგორც დიანამ თქვა:

– ბელორუს ხალხთან ძალიან თბილი ურთიერთობა მაკავშირებს. უზომოდ მიყვარს ეს ქვეყანა, იქ ყოველთვის დიდი სიყვარულით მხვდებიან და ამით ბედნიერი ვარ.

მომღერალმა პირად ცხოვრებაზეც ისაუბრა და აღნიშნა:

– ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ოჯახია. ყველაფერი მაქვს, რაც ბედნიერებისთვის მჭირდება. შესანიშნავი ოჯახი – მეუღლე და ვაჟი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ 6 წელი შეუსრულდა. ვაკეთებ საყვარელ საქმეს და მყავს საკუთარი მსმენელი. მაქვს სხვა ადამიანების დახმარების შესაძლებლობა. ალბათ იცით, რომ უსინათლო ბავშვებისთვის ფესტივალს ვმართავ, ისინი სცენაზე გამოდიან და მღერიან. ღმერთს მადლობას ვწირავ ყველაფრისთვის. მინდა, ყველაფერი მუდამ ასე იყოს.

ეკა ირემაშვილი

# სირიის შესახებ კონფერენცია, შესაძლოა, არ გაიმართოს

„ჟენევა-2-ის“ კონფერენცია, რომელიც სირიის კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას ეძღვნება და რომელზეც მსოფლიო საზოგადოება დიდ იმედს ამყარებს, შესაძლოა არ გაიმართოს. ცოტა ხნის წინ, ამ კონფერენციის მთავარი ორგანიზატორები



ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ბრუნეიში შეხვდნენ ერთმანეთს.

შეხვედრის შემდეგ კერიმ განაცხადა, რომ ეს კონფერენცია „აგვისტოს შემდეგ“ გაიმართება. თუმცა, როგორც „კომერსანტი“ წერს, ამერიკა და რუსეთი კარგად აცნობიერებენ ერთობლივი განხილვის უპერსპექტივობას, ამ წარუმატებლობას შეეგუენ კიდეც და ახლა იმას წყვეტენ, თუ ვინ გამოაცხადებს აღნიშნულს.

კერიმ განცხადების გაკეთებისას, კონფერენციის გადადება იმით ახსნა, რომ ზაფხული ყველა პოლიტიკოსს გაწერილი აქვს, მისი თქმით: „არც ამერიკა და არც რუსეთი უარს არ ამბობენ სირიის შესახებ კონფერენციის გამართვაზე“.

სახელმწიფო მდივანმა ისიც დაამატა, რომ მოლაპარაკებები „რაც შეიძლება მალე უნდა გაიმართოს“.

როგორც ცნობილია, კონფერენციის გამართვის ხელისშემშლელ ფაქტორს მასში სირიის ოპოზიციის მონაწილეობა წარმოადგენს. გარდა ამისა, ამერიკა წინააღმდეგია კონფერენციაზე ირანი მიიწვიონ.

როგორც „კომერსანტის“ წყარო აღნიშნავს, რომელიც რუსულ დელეგაციასთან არის დაახლოებული, ვაშინგტონი მხოლოდ სიტყვებით თუ გამოხატავს კონფერენციის გამართვისათვის მზადყოფნას, სინამდვილეში კი ეს ქვეყანაში კონფრენციის მოწყობას აღარ გეგმავს. ამის დამამტკიცებლად გამოცემის წყაროს ამერიკის გადაწყვეტილება მოჰყავს, რომელიც სირიელი მეამბოხეების შეიარაღებას უკავშირდება. წყაროს ინფორმაციით, ამ დროისათვის „დიპლომატიური თამაში მიდის იმის შესახებ თუ ვინ გამოაცხადებს საჯაროდ ამ ინიციატივის ჩავარდნის შესახებ“.

გაეროს, რუსეთისა და ამერიკის წარმომადგენლები სირიის შესახებ კონფერენციის გამართვასთან დაკავშირებით 25 ივნისს ჟენევაში მსჯელობდნენ. წინა შეხვედრა კი 5 ივნისს გაიმართა, თუმცა ვერცერთ შეხვედრაზე მხარეებმა ვერ შეძლეს უმთავრესი საკითხების გადაჭრა-თუ როდის გაიმართება შეხვედრა და რა შემადგენლობით.

სირიაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც 100 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მილიონზე მეტი სირიელი კი ლტოლვილად იქცა.

ამ ფონზე, საერთაშორის უფლებადამცველმა ორგანიზაციამ „ჰუმან რაითს უოჩმა“ თურქეთი, ერაყი და იორდანია სირიელ ლტოვილების მიღებაზე უარის თქმაში დაადნაშაულა. როგორც ამ ორგანიზაციის ვებგვერდზეა მითითებული, ბოლო თვეების განმავლობაში სირიის მეზობლებმა საკონტროლო-გამშვები პუნქტების დიდ ნაწილი დახურეს.

უფლებადამცველების განცხადებით, სახელმწიფოები სირიის დატოვების მსურველთა მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას იღებენ, ათასობით სირიელი ლტოლვილი იძულებული ხდება საზღვრების გასწვრივ ანტისანიტარულ პირობებში მოიყაროს თავი. ორგანიზაციის ინფორმაციით, მხოლოდ ლიბია იცავს ლტოლვილთათვის ღია საზღვრის პოლიტიკას.

# ბოლივიის პრეზიდენტის თვითმფრინავი ავსტრიაში იძულებით დასვეს



ბოლივიის პრეზიდენტის თვითმფრინავი ვენის აეროპორტში იძულებით დაეშვა, ვინაიდან საფრანგეთისა და პორტუგალიის ხელისუფლებებმა უარი განაცხადეს მათ მიერ ადრე გაცემულ ნებართვაზე პრეზიდენტ მორალესის თვითმფრინავის მიერ მათი საჰაერო სივრცისა და აეროპორტების გამოყენების შესახებ. ამ ქვეყნების ხელისუფლებებს ეგონათ, რომ თვითმფრინავში იმყოფებოდა ედვარდ სნოუდენი, რომლის გადაცემასაც აშშ-ის ხელისუფლება ითხოვს.

პრეზიდენტ მორალესის თვითმფრინავი მოსკოვიდან ბოლივიაში მიფრინავდა.

„ავსტრიის ხელისუფლებამ ვენაში გაჩხრიკა ბოლივიის პრეზიდენტ ევო მორალესის თვითმფრინავი, მაგრამ ცსს-ს ექსთანამშრომელი სნოუდენი იქ ვერ აღმოაჩინეს“, – შეატყობინა პრესას ავსტრიის ვიცე-კანცლერმა შპინდელეგერმა.

„მოსკოვში მე ის (სნოუდენი) არ მინახავს და რუსეთის ხელისუფლებასთან საუბრისას ამ თემას არ შევხებივარ“, – განაცხადა მორალესმა, – „მე მისი სახელიც კი არ ვიცი, თუმცა მომისმენია, რომ მას პრობლემები აქვს აშშ-ის ხელისუფლებასთან“.

მორალესის თქმით, ბოლივიას არავითარი თხოვნა პოლიტიკური თავშესაფრის შესახებ სნოუდენისგან არ მიუღია.

ბოლივიის ხელისუფლება აცხადებს, რომ პორტუგალიამ და საფრანგეთმა უნდა მისცენ განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გაიწვიეს უკან მათ მიერ უკვე გაცემული ნებართვა საჰაერო სივრცით სარგებლობაზე. „მათ სურდათ ჩვენი შეშინება, ეს ჩვენი პრეზიდენტის დისკრიმინაციაა. პრეზიდენტის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იდგა“, – აცხადებენ ისინი.

ბოლივიის თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ევროპის ამ სახელმწიფოების მოქმედების უკან დგას აშშ. მოგვიანებით ანალოგიური განცხადება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმაც. დავიდ ჩოკეუანკამ განაცხადა: „ჩვენ არ ვიცით ვინ მოიგონა ეს ტყუილი. საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ვაპროტესტებთ ამ უსამართლობას“.

ამ ფონზე, ესპანეთმა ბოლივიის პრეზიდენტის ევო მორალესის თვითმფრინავს ქვეყნის საჰერო სივრცის გამოყენების ნება დართო.

29 წლის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი ედვარდ სნოუდენი, გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვში შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში იმყოფება. როგორც „ვიკილიქსი“ წერს, მან არაერთ ქვეყანას მიმართა თავშესაფრის თხოვნით.

# ეგვიპტეში დაპირისპირებას 16 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა




ეგვიპტის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქაიროში, ქვეყნის პრეზიდენტის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მომხდარ დაპირისპირებას 16 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 200 ადამიანი კი დაშავდა.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, ორი მრავალათასიანი აქცია, ქაიროს სხვადასხვა რაიონში მიმდინარეობს. გარდა ამისა, მასშტაბური აქციები გაიმართა ალექსანდრიაშიც.

მანამდე, ქვეყნის პრეზიდენტმა მურსიმ განაცხადა, რომ ის მომიტინგეების მიერ დასახელებული ულტიმატუმის შესრულებას არ აპირებს.

არეულობა ეგვიპტეში რამდენიმე დღეა გრძელდება. მოწინააღმდეგეები მურსის ეკონომიკური პრობლემების გადაუჭრელობაში, ასევე მოქალაქეების უსაფრთხოების დაუცველობაში ადანაშაულებენ და მის გადადგომას ითხოვენ.

ბოლო დღეებში ეგვიპტეში მიმდინარე ანტისამთავრობო გამოსვლების დროს ერთი ჟურნალისტი დაიღუპა, კიდევ შვიდი დაიჭრა. ამის შესახებ ჟურნალისტთა უფლებების დაცვის კომიტეტის განცხადებაშია ნათქვამი.

დაღუპული ჟურნალისტი ეგვიპტელია, დაჭრილებს შორის კი არიან როგორც ეგვიპტის, ასევე სხვა არაბული ქვეყნების მოქალაქეები.

ორგანიზციის ინფორმაციით, ერთ-ერთი დაშავებული, 22 წლის დანიელი ჟურნალისტია, რომელიც სცემეს და გააუპატიურეს.

წინათ გაეროს გენერალურმა მდივანმა შეშფოთება გამოთქვა ეგვიპტეში, ქალი დემონსტრანტების მიმართ სექსუალურ ნიადაგზე ძალადობასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტებში დემონსტრატებს არმიამ სოლიდარობა გამოუცხადა. არმიის შვეულმფრენებმა დემონსტრაციას დროშებით გადაუფრინეს.

ეგვიპტის არმიის გენშტაბის უფროსმა პრეზიდენტს 48 საათიანი ვადა მისცა ოპოზიციასთან შეთანხმების მისაღწევად. თავის მხრივ ოპოზიციამ პრეზიდენტს გადადგომისთვის 24-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა.

გამოსვლების დაწყების შემდეგ მურსის მთავრობის ექვსმა მინისტრმა, დემონსტრანტებისადმი სოლიდარობის ნიშნად, თანამდებობა დატოვა. თანამდებობა ასევე დატოვა პრეზიდენტის პრესსამსახურის მთელმა შემადგენლობამ.

მურსის დიალოგისკენ გაეროს წარმომადგენლობამაც მოუწოდა.

# დოკუ უმაროვი მომხრეებს სოჭის ოლიმპიური თამაშების ჩაშლისკენ მოუწოდებს



ჩეჩენი მებრძოლების ლიდერი დოკუ უმაროვი თავის მომხრეებს სოჭის ოლიმპიური თამაშების ჩაშლისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის მიერ ტერორიზმის ბრალდებით ძებნილმა უმაროვმა ინტერნეტში, ვებგვერდ კავკაზცენტერის მეშვეობით ვიდეომიმართვა გაავრცელა. ამ მიმართვაში მან განაცხადა, ჩრდილოეთ კავკასიის საზღვრებს მიღმა ტერაქტებზე მორატორიუმს აუქმებს.

ვიდეომიმართვაში უმაროვი მომხრეებს მოუწოდებს, არ დაუშვან პრეზიდენტ პუტინის გეგმების შესრულება და ჩაშალონ სოჭის ოლიმპიური თამაშები. მისივე თქმით, სოჭის ოლიმპიური თამაშების გამართვა დაღუპული მუსლიმების „ძვლებზე“ სურთ.

„რუსები ოლიმპიური თამაშების ჩატარებას ჩვენი წინაპრების, გარდაცვლილი მუსლიმების ძვლებზე გეგმავენ, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე არიან დაკრძალული. ჩვენ კი, როგორც ნამდვილმა მოჯაჰედებმა, ეს არ უნდა დავუშვათ და ამისთვის ნებისმიერი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ“, – ნათქვამია ვიდეომიმართვაში.

„როიტერის“ ცნობით, ექსტრემისტული დაჯგუფება „იმარატ კავკაზის“ ლიდერის ვიდეომიმართვის ნამდვილობა ამ ეტაპზე დადასტურებული არ არის.

„არსებობს საფრთხე სოჭის ოლიმპიადის ჩაშლისა“, – ამის შესახებ განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ დოკუ უმაროვის განცხადების კომენტირებისას გააკეთა.

მისივე განმარტებით, ამგვარ ღონისძიებებზე ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ გარკვეული ჯგუფები ეცდებიან ღონისძიების ჩაშლას.

„არ აქვს მნიშვნელობა ეს სოჭი იქნება თუ რომელიმე სხვა ქვეყნის ქალაქი. ყოველთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ გარკვეული ჯგუფები ეცდებიან ღონისძიებს ჩაშლას ან ტეროტრისტული აქტის მოწყობას.

ამის მაგალითები სამწუხაროდ, წარსულში ოლიმპიადებზე იყო. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ სათანადო უსაფრთხოების ზომები მიღებული იქნება ორგანიზატორების მხრიდან და ჩვენც მოგეხსენებათ გამოვთქვით მზადყოფნა, რომ ყველა ამ საკითხზე ვითანამშრომლოთ“, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები



დედა ლოლა ავალიანი, მეუღლე ლალი ჩაგელიშვილი, რძალი კირა სამყურაშვილი, შვილიშვილი სალომე და დოდო ჭიჭინაძეები, დისშვილი ალეკო ბურჯანაძე, რძალი ნანა ყიფიანი, სიძე რომან მახარაძე, მძახლები რევაზ სამყურაშვილი, თამრიკო დეკანოიძე, სიდედრი ანეტა, ცოლისდები დოდო, ქეთო ჩაგელიშვილები, ქვისლი ვახტანგ ღოლიჯაშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ცოლის დისშვილები, დისშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბორის (ჯემალ) გერონტის ძე ჭიჭინაძე**

პანაშვიდი: 4, 5 ივლისს, 17 საათზე, ნინოშვილის ქ. 19ბ, 6 ივლისს, 12 საათიდან საბურთალოს ამაღლების ეკლესიაში.

გამოსვენება: 15 საათზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს მინისტრს, ბატონ ალექსანდრე აპლაკოვს ბაბუის

**ვარლამ ილიას ძე ღურწკაიას**

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, კინოცენტრი სამძიმარს უცხადებენ თანამშრომელს იზა ღურწკაიას ბაბუის

**ვარლამ ილიას ძე ღურწკაიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 4 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ჭორიკანა**" **17.00** "ჩვენი ფერმა" **17.30** "საფარი" **18.00** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი: **ჩიხურა** /საჩხერე/ – "**ვადუცი**" /ლიხტენშტეინი/ (პ/ე ლოკომოტივიდან.) **21.00** "საჯარო პოლიტიკა" **22.00** ტ/სერ "**ნიკიტა**" **23.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.00** მხ/ფ "**ინტიმური ლექსიკონი**" (ტიტ.) (ჯ.ალბა) **02.00** "დღეს ორის ნახევარზე"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00, 16.00** დ/ფ "ადამიანის პლანეტა" **6-7** ნაწ. **14.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **9** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) (პ/ე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **1** სერ. **22.00** სერ. "**ლიკვიდაცია**" **8** სერ. **23.00** მხ/ფ. "**ილაის წიგნი**" (გ.ოლდმენი) **01.35** მხ/ფ. "**საბედისწერო მოგზაურობა**" (ო.უაილდი) (ტიტ.)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი კლიპები

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.50** მხ/ფ "**წარსულის აჩრდილები**" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** დოკ/ფ "ზღვარი" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**თემო**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დოკ/ფ "სამი საქართველო" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დრო და ადამიანები **16.10** კონცერტი - ლიანა ისაკაძე (ბათუმი) **18.10** ტელეზღაპარი **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**სხვისი შვილები**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** "თვენი" წმინდა მეფე არჩილი **22.35** დოკ/ფ "ჰერეთი" I ნაწ. **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ჰერეთი" II ნაწ. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**წარსულის აჩრდილები**" II ნაწ. **02.10** ირაო

მაესტრო **7.00, 1.00, 3.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **11.00** კვირის აბები (გამ.) **12.50** მაგთიფანი კონცერტი (გამ.) **16.00** **სერიალი "შტორმი"** **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "1001 ღამე"** **22.00, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" **22.20, 1.30** მაგთიფანი **23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6559
ევრო — 2,1611
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5213
100 რუსული რუბლი — 5,0405

## ამინდის პროგნოზი 4 ივლისისთვის





# მალე! მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

## სერია „ეს სამყარო“ „ახალ თაობასთან“ ერთად



გამოგონებები | რაინდები და ციხე-კოშკები | მწერები და ობობები | მფრინავები | ოკეანეები | პოლარული სამყარო | რეპტილიები | ტროპიკული ტყეები | ზვიგენები

# 9 ივლისიდან!

## ლეგენდარული „მგლის ბილიკი“

## „ახალ თაობასთან“ ერთად


## ასტროპროგნოზი 4 ივლისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

**ვერძი** — დიდი სიხარული და წარმატება გელოდებათ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **კირჩხიბი** — სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი, მოემზადეთ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ფულს იშოვით. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს. **ღრიანკალი** — საქმე წინ მიდის, ცოტაც მოითმინეთ და კარგ შედეგს მიიღებთ. **მშვილდოსანი** — ადრე დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თხის რქა** — მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათგან ახალ ამბავს გაიგებთ. **მერწყული** — ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **თევზები** — არ ენდოთ უცხო ადამიანს, ჩამოშორდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 2. ქართული სპორტული რადიო; 3. მომქმედი ვულკანი ისლანდიაში; 4. ფულის ერთეული ავღანეთში; 6. უფროსი მღვდელი ქართულ ეკლესიაში; 9. მუსიკალური ინტერვალი; 13. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 14. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 15. ბასკური ხალხური თამაში ბურთით; 17. ხელოვნური მარმარილო; 18. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 20. პატარა ტანის ცხენი.

**თარაზულად:** 1. ქალაქ ოდესის ძველი სახელწოდება; 5. ოსური ცეკვა; 7. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. მუშა-მოსამსახურეების მასობრივი დათხოვნა წარმოებიდან, გაფიცვის ჩასახშობად; 10. საბრძოლო მანქანა; 11. ოპტიკური მინა; 12. სახლზე მიშენებული ღია აივანი; 16. საცეცებიანი ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 17. ილეთი ჭიდაობაში; 19. დამუხტული ატომი; 21. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 22. პატარა ბალი; 23. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 24. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# კონტეს სიურპრიზი სკუდეტოს

ტურინის „იუვენტუსის“ მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ საკუთარი თავისთვისაც მოიცალა. სერია ა-ს ბოლო ორი სეზონის გამარჯვებულმა ცოლი მოიყვანა და დიდი ხნის შეყვარებულზე, ელიზაბეტა მუსკარელოზე ჯვარი დაიწერა. ვერ გეტყვით, კონტემ იტალიის ჩემპიონატის მოგება ასე ორიგინალურად აღნიშნა, თუ საკუთარ თავს გაუკეთა საჩუქარი.

წყვილმა ჯვარი ტურინში, სანტი ანჯელი კუსტოდის ეკლესიაში დაიწერა. ქორწილს ანტონიოს ყოფილი თანაგუნდელები და კოლეგები ესწრებოდნენ. ჯანპიერო ბონოპერტი, ანტონიო ჯირაუდო, ლუჩანო მოჯი, ანდრეა ანიელი, ჯუზეპე მაროტა,



ფაბიო პარატიჩი, მარკო სტორარი, ჩირო ფერარა, ჯუზეპე პესოტო.

ქორწილის შემდეგ კი, ელიზაბეტა და ანტონიო ეგზოტიკურ კუნძულზე თაფლობის თვის გასატარებლად გაემგზავრნენ.

ქალბატონ მუსკარელოზე თითქმის არაფერია ცნობილი, ხოლო კონტეს სათამაშო კარიერა მხოლოდ „ლეჩესა“ და „იუვენტუსს“ ეკუთვნის. ანტონიომ „ბებერი ქალბატონის“ ღირსება 13 წელი დაიცვა. 2011 წლიდან კი გუნდის მთავარი მწვრთნელია და უკვე ორჯერ ზედიზედ აჩემპიონა ტურინული კლუბი.

კონტეს 20 მატჩი იტალიის ჩემპიონატშიც აქვს ჩატარებული და ორი ბურთიც გაუტანია.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# დათო ტურაშვილი ლიტერატურულ ღამეს გაუძღვება



მწერალი დათო ტურაშვილი ლიტერატურულ ღამეს გაუძღვება, რომელიც 5 ივლისს მწერალთა სახლში გაიმართება. ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია და მასზე წარმოდგენილი იქნება ოთხი ქვეყნის მწერლების შემოქმედება.

როგორც გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელმა თამთა გოჩიტაშვილმა განაცხადა:

—ლიტერატურის მოყვარულებს 5 ივლისს ელით არაჩვეულებრივი „ლიტერატურული ღამე“, რომელიც წარმოადგენს ევროპის კულტურულ ინსტიტუციათა გაერთიანების, ბრიტანეთის საბჭოს, გოეთეს ინსტიტუტის, ფრანგული ინსტიტუტის, მწერალთა სახლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ევროპის სახლის ერთობლივ პროექტს. ამ პროექტის მიზანია თანამედროვე ევროპული ლიტერატურის წარმომადგენლების ნაწარმოებების გაცნობა ქართველი მკითხველებისთვის, მწერლებისთვის, სტუდენტებისთვის და პირიქით, თვალსაჩინო თანამედროვე ქართველი მწერლის, და ზოგადად მწერლობის, ნაწარმოებების გაცნობა მისი ევროპელი კოლეგებისთვის; ქართველ, ბრიტანელ, გერმანელ და ფრანგ მწერლებს შორის დიალოგის და ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობების ხელშეწყობა; თანამედროვე ქართული ლიტერატურის დაახლოება ევროპულთან და პირიქით; ევროპასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განვითარება ლიტერატურის სფეროში.

მისივე თქმით, მწერალთა სახლი უმასპინძლებს ღონისძიებაზე სპეციალურად მოწვეულ ოთხ ავტორს გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან და საქართველოდან, რომელთა ნაწარმოებებსაც ქართულ ენაზე მოისმენენ დამსწრეები.

— გვინდა აღვნიშნოთ, რომ მონაწილეთა შორისაა აკა მორჩილაძე. ლიტერატურული ღამე 5 ივლისს იქნება თბილისში განხორციელებული პირველი ფართომასშტაბიანი ღონისძიება, რომელიც მიეძღვნება სხვადასხვა ევროპული ქვეყნების თანამედროვე ლიტერატურის გაცნობას ქართველი მკითხველებისთვის. ღონისძიების ორგანიზატორები მოხარული არიან, რომ ქართველი მკითხველები და მწერლები გაესაუბრებიან და კითხვებს დაუსვამენ თა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# დიანა ღურწკაია 35 წლის გახდა

ქართველი მომღერალი დიანა ღურწკაია, რომელიც უკვე წლებია რუსეთში მღერის, 35 წლის გახდა. მრგვალი თარიღი მომღერალმა ახლობლების წრეში აღნიშნა. იგი თავის დაბადების დღეზე მიწვეული იყო ანდრეი მალახოვთან ჩაწერაზე, სადაც თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებზე ისაუბრა. მასთან ერთად სტუდიაში იმყოფებოდნენ მისი მეუღლე, ძმა და შვილი.

როგორც მომღერალმა განაცხადა, ის დაბადებიდან უსინათლოა, თუმცა მისმა მშობლებმა მხოლოდ 1,5 წლის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მათი ქალიშვილი ვერასოდეს დაინახავდა. უსინათლობის მიუხედავად, გოგონამ გადაწყვიტა მუსიკა ესწავლა, რაშიც ხელი შეუწყო არაჩვეულებრივმა სმენამ და მუსიკის უსაზღვრო სიყვარულმა. იგი მშობლებმა სპეციალურ სკოლაში მიიყვანეს, სადაც დიანამ შეძლო სრულფასოვანი განათლება მიეღო.



მოზარდობის პერიოდში ქართველმა მომღერალმა არაერთი ფესტივალი და კონკურსი დაიპყრო. მისთვის ყველაზე გადამწყვეტი კი აღმოჩნდა კონკურსი „იალტა მოსკოვი ტრანზიტი“, სადაც მან ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. მისით აღფრთოვანდა კომპოზიტორი იგორ ნიკოლაევი, რომელმაც სპეციალურად დიანა ღურწკაიასთვის დაწერა სიმღერა „შენ აქ ხარ“. სწორედ ეს სიმღერა იქცა ქართველი გოგონასთვის მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათად.

ანდრეი მალახოვის გადაცემაში ნაჩვენები იყო ის კადრებიც, როცა დიანა ღურწკაია ირმა სოხაძესთან ერთად გამოვიდა სცენაზე, ასევე მისი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები. როგორც მომღერალმა განაცხადა, თავისი ოცნებების განხორციელებაში მას ყოველთვის ეხმარებოდა დედა. ყველა კონკურსსა თუ ფესტივალზე მას დედა სულ თან ახლდა და გვერდიდან ერთი წუთითაც არ მოშორებია.

დიანა ღურწკაიას თქმით, მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ტრაგედია 2001 წელს დატრიალდა, როცა მისი დედიკო უკურნებელი სენით – თავის ტვინის კიბოთი გარდაიცვალა. მას რამდენიმე წელი დასჭირდა ამ ტრაგედიის დასაძლევად და მხოლოდ 4 წლის შემდეგ შეძლო ცხოვრების სრული დატვირთვით ახლიდან დაწყება. სწორედ ამ პერიოდში იგი თავის სიყვარულს შეხვდა. 2005 წელს დიანა ღურწკაია ცოლად გაყვა ადვოკატ პეტრე კუჩერენკოს. ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ კი მათ ვაჟიშვილი კოსტია ეყოლათ.

მომღერალს არც ის დაუმალავს, რომ დაბადების დღეზე საყვარელი მეუღლისგან საჩუქარიც მიიღო – ყვავილის ფორმის ძვირფასი ბეჭედი, რომელიც მომღერალმა პირდაპირ სტუდიაში მოიზომა. მისმა შვილმა, რომელიც უკვე 6 წლისაა, დედას ორიგინალური და მუსიკალური საჩუქარი გაუკეთა – მან საყვარელი დედიკოსთვის დიანას ძმისშვილთან და ნათლულთან ერთად ჩოხაში გამოწყობილმა იცეკვა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე